საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი-შაბათი, 18-19 დეკემბერი. 2020 წ. №182-183 (9108-9109) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

მათხრებელი...

გაქცეული ნაპრეზიდენტალის უკრაინულ-ქართული მაქინაციები

პოლიტიკური კორონავირუსი!

თემაზე — „საქართველოდან გაქცეული პრეზიდენტის უკრაინულ-ქართული მაქინაციები", საინფორმაციო სააგენტო „ნოვინი უკრაინის" დირექტორმა ოლეგ დეინეკამ მიხეილ სააკაშვილის საქმიანობაზე პრეს-კონფერენცია გამართა. სააგენტოს დირექტორმა ოლეგ დეინეკამ განაცხადა, რომ ერთი წლის განმავლობაში ჟურნალისტური გამოძიება ჩატარდა მიხეილ სააკაშვილის საქმიანობაზე, რის ფარგლებშიც გამოვლინდა მისი ფარისევლური ქმედების დამამტკიცებელი ფაქტები.

დეინეკამ ისაუბრა საქართველოში საპარლამენტო არჩევნების დროს ხმების პარალელურ დათვლაზე, კერძოდ, ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნების" მიერ და აღნიშნა, რომ ხმის დათვლის ფორმულაში განზრახ შეტანილი შეცდომა ორგანიზაციის მიერ თავდაპირველად გავრცელებული არასწორი შედეგების საფუძველი გახდა.

ოლეგ დეინეკამ განმარტა, რომ „სამართლიანი არჩევნების" მიერ გასაჯაროებული მონაცემები „ქართული ოცნების" მიერ დაგროვილი ხმების რაოდენობაზე 2 პროცენტით ნაკლები იყო. უკრაინული საინფორმაციო სააგენტოს დირექტორის განცხადებით, სწორედ ამ მონაცემებზე დაყრდნობით ირწმუნება სააკაშვილი, რომ მისმა პარტიამ საქართველოს საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა. დეინეკამ ასევე გაიხსენა ის ფაქტი, რომ სწორედ ამ ორგანიზაციამ იგივე შეცდომა დაუშვა 2003 წლის არჩევნებში, რის შემდეგაც ორგანიზაციის მაშინდელი ხელმძღვანელი ზურაბ ჭიაბერაშვილი შემდგომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გახდა. ოლეგ დეინეკა ირწმუნება, რომ არსებობს საფრთხე, სააკაშვილმა უკრაინაშიც იგივე სქემით იმოქმედოს და მცდარი საზოგადოებრივი აზრი შექმნას.

იხ. 3 გვ.



სად ჩეჩნეთი, სად რულოვსი?!

რაში სჭირდებოდა ზელიმხან ხანგოშვილს სანდრას ლობირება?!

ილია II: რაც დღეს ხდება, ამდენი მსხვერპლი, ეს სასჯელია!!!

ვფიქრობთ, ეს რაც ხდება დღეს, ამდენი მსხვერპლი, ეს სასჯელია, არაფერი ხდება ღვთის გარეშე, შევთხოვთ უფალს, რომ უფალმა დალოცოს თვისი ერი, — ამის შესახებ ბრძანა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ სიონის საკათედრო ტაძარში, სადაც ბარბარობის დღესასწაულთან დაკავშირებით პარაკლისი აღავლინა.

„წმინდა ბარბარე არის მაგალითი მტკიცე სარწმუნოებისა, ერთგულებისა, ქრისტიანული რწმენისა. პრობლემები მუდამ ყოფილა და იქნება მშობლებსა და შვილებს შორის, აი დღეს ჩვენ შევთხოვთ უფალს, რომ გახსნას გული და გონება ჩვენი ახალგაზრდების, ჩვენი ხალხისა. ვფიქრობთ, ეს რაც ხდება დღეს, ამდენი მსხვერპლი, ეს სასჯელია, არაფერი ხდება ღვთის გარეშე, შევთხოვთ უფალს, რომ უფალმა დალოცოს თვისი ერი. ითხოვდეთ და მოგეცეთ, ეძიებდეთ და ჰპოვოთ, აი, დღეს ჩვენ ვითხოვთ მშვიდობას, სიხარულს, ქრისტიანული რწმენის განმტკიცებას, სიმშვიდეს გულში, გონებაში და სულში და დარწმუნებულები ვართ, რომ ღმერთი შეისმენს ჩვენს ლოცვას.

ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ჩვენმა ბავშვებმა, ახალგაზრდებმა დაწერონ ლოცვები, თხოვნები. არ შეიძლება, რომ ღმერთმა არ შეისმინოს ჩვენი შვილების ლოცვები, რომ დაწერთ ამ ლოცვებს, თხოვნებს, წერილებს, გამომიგზავნეთ მე. გადაწყვეტილი მაქვს, როდესაც შეგროვდება საკმარისი, გამოვცეთ წიგნად", — აღნიშნა პატრიარქმა.

საქართველომ პრეპარატი „რემდესივირი" მიიღო

ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრმა ეკატერინე ტიკარაძემ მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

„გუშინ ჩამოვიდა პრეპარატი, რომელსაც ყველა ძალიან ელოდება. დღეს საქართველოში უკვე არის „რემდესივირი". თენგიზ ცერცვაძის ხელმძღვანელობით, კლინიკურ ჯგუფთან ერთად, პრეპარატი გადანაწილდება იმ პაციენტებზე, რომლებისთვისაც პრეპარატის გამოყენება იქნება შედეგიანი და უსაფრთხო, მათი ჯანმრთელობის გაუმჯობესების მიზნით", — განაცხადა ტიკარაძემ.

ბაჩალიაშვილმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა

„საქართველოს პროკურატურამ დაასრულა თამარ ბაჩალიაშვილის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთისა და თვითმკვლელობამდე მიყვანის საქმეზე მიმდინარე გამოძიება. მოპოვებული მტკიცებულებები ცხადყოფს, რომ თამარ ბაჩალიაშვილის მიმართ დანაშაულის ჩადენას ადგილი არ ჰქონია და მან სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. მიღებულია გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ", — განაცხადეს პროკურატურაში.

რამაზ საყვარელიძე:

აგრესიული ნაცმოძრაობა სექტად გარდაიქმნა!

9 მთელ დიპლომატიურ კორპუსს შეუტიეს, მგონი, დეგნანს გაუჩნდა ეჭვი, რომ ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენელი რუსეთის გავლენით მოქმედებს!..

დღის ამფრაზურიდან:



— ქვეყნის ჭირად გაჩენილი ნაციონალები, თავიანთ დაჩმორებულ კუდებთან ერთად, ჩაბჟირებული გაიძახიან, ჭაობში ვცხოვრობთო... როგორც ჩანს, თავს ბაყაყებად გრძნობენ და ამიტომაც ყიყინებენ ჭაობის ენაზე!..

გუშინ

ძლევაი საკვირველი!

წყალბურთი. ჩემპიონთა ლიგა. **„დინამო" (თბილისი) — „იადრანი" (მონტენეგრო) 11:8.**

№ 182-183. პარასკევი-შაბათი, 18-19 დეკემბერი, 2020 წელი.

კორონამ იმედი ვერ დაგვიინფიცირა!

„მთავრობის ანგარიში – მოქალაქეებს“

მოგეხსენებათ, დღეს მე-20 დღეა 28 ნოემბრიდან, როდესაც საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ქვეყანაში მიზნობრივი შეზღუდვების დაწესების თაობაზე. დღეს, როგორც გარდამავალი შედეგი, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ შევძელით ინფექციის გავრცელების ტემპების შეჩერება, რამაც მოგვცა შესაძლებლობა, რომ ტესტირების პრინციპულად გაზრდილი რაოდენობის მიუხედავად, ინფიცირების შემთხვევების რაოდენობა შედარებით სტაბილურია, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა.

მისივე თქმით, პირველად ბოლო თვეების განმავლობაში, 17000-ზე მეტი ჩატარებული ტესტის პირობებში, ქვეყანაში ინფიცირების 3000-ზე ნაკლები შემთხვევაა და ეს მხოლოდ და მხოლოდ ფრთხილი ოპტიმიზმის საფუძველია.

„ეს გვაძლევს მხოლოდ და მხოლოდ ფრთხილი ოპტიმიზმის შესაძლებლობას, რამეთუ ეს არის მხოლოდ და მხოლოდ პირველი შედეგი, პირველი მიზნის მიღწევის შესაძლებლობა.

ის პროცესები, რომელიც მიმდინარეობს ევროპაში, როდესაც ინფექციის გავრცელება ყოველდღიურად ახალ რეკორდს ამყარებს, როდესაც ევროპული სახელმწიფოები სულ უფრო და უფრო ამკაცრებენ შეზღუდვებს, მათ შორის საახალწლო-საშობაოდ, ჩვენი თითოეული ნაბიჯი უნდა იყოს პირველ რიგში პასუხისმგებლიანი და გონივრული. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ეს გარდამავალი, მცირედი მიღწევა, შედეგი, რომელიც დღეს შეგვიძლია ვთქვათ, რომ გვაქვს, პირველ რიგში შევინარჩუნოთ და გავუფრთხილდეთ ჩვენს ხანდაზმულებს, მოხუცებს და ქრონიკული დაავადებების მქონე ადამიანებს. სამწუხაროდ, დღეს ევროპის ბევრ ქვეყანაში სიკვდილიანობის რეკორდები მყარდება, ისეთი რეკორდები, როგორიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ არ ყოფილა. ჩვენი ძირითადი ამოცანაა, გავუფრთხილდეთ ჩვენს ხანდაზმულებს და ამ პასუხისმგებლობით, როგორც სახელმწიფომ, ისე კერძო კომპანიებმა და ბიზნესმენებმა, უნდა ვიმოქმედოთ პირველ რიგში, საახალწლო დღეებშიც,“ — განაცხადა მთავრობის მეთაურმა.

გიორგი გახარიას თქმით, საახალწლო ღონისძიებები უნდა იყოს უფრო მოკრძალებული, ოჯახის წრეში და მოქალაქეებმა თავი უნდა აარიდონ დიდ საახალწლო წვეულებებს.

„წელს ცოტა განსხვავებულად უნდა შევხვდეთ ახალ წელს, ჩვენი საახალწლო ღონისძიებები უნდა იყოს უფრო მოკრძალებული, უფრო ოჯახის წრეში და თავი უნდა ავარიდოთ ჩვენთვის ჩვეულ დიდ საახალწლო წვეულებებს,“ — აღნიშნა პრემიერმა.

მისივე შეფასებით, შემდგომი ეკონომიკური აღდგენისთვის დიდი მნიშვნელობა ექნება, თუ როგორ გაივლის ქვეყანა საახალწლო დღესასწაულებს.

მთავრობის მეთაურმა პირბადის ტარების მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ პირბადის ტარება ქვეყანაში გაზრდილია 65%-მდე, თუმცა ეს საკმარისი არ არის.

„წელს განსაკუთრებული წელია თავისი გამოწვევებით და ჩვენი შემდგომი ეკონომიკური აღდგენისთვის დიდი მნიშვნელობა ექნება, როგორ გავართმევთ თავს ამ საახალწლო დღესასწაულებს. პირბადის ტარება ქვეყანაში გაზრდილია 65%-მდე, თუმცა ესეც არ არის საკმარისი. ჩვენი მიზანი უნდა იყოს, ეს მაჩვენებელი 90-95%-მდე ავიყვანოთ. ეს ის მონაცემებია, როდესაც ჩვენ ეკონომიკის თამამად გახსნა შეგვეძლება. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ჩვენი მობილურობა შევინარჩუნოთ დაბალ დონეზე, ან გავზარდოთ მაშინ, როდესაც ყველა რისკი გადაზღვეული გვექნება. ეს არის ჩვენი პასუხისმგებლობა ერთმანეთის, ჩვენი მოქალაქეების და ჩვენი ხანდაზმულების წინაშე“, — განაცხადა გიორგი გახარიამ.

მთავრობის გუშინდელ სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ყურადღება გაამახვილა მიზნობრივი სოციალური დახმარების მე-4 ტალღაზე და აღნიშნა, რომ ერთჯერადი, 300-ლარიანი დახმარების მისაღებად, უკვე მიღებულია 65 000-ზე მეტი განაცხადი, საიდანაც 54 000 დაკმაყოფილებულია და ახალ წლამდე, ყველა განაცხადი დაკმაყოფილდება.

გიორგი გახარია ასევე გამოეხმაურა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) შეფასებას, რომლის თანახმადაც, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით, საქართველო ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი ქვეყანაა.

„უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, ჩვენ დავიკავეთ მე-8 ადგილი 82 ქვეყანას შორის. ხაზგასმითაა აღნიშული, რომ დღეს საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული რეფორმები და საკანონმდებლო ცვლილებები თანაბარ პირობებში აყენებს როგორც ადგილობრივ ბიზნესს, ასევე უცხოურ ინვესტორებს, რაც არის სერიოზული მიღწევა, თუმცა ჩვენ ასევე გვაქვს მიღებული რეკომენდაცია — გავაგრძელოთ სტრუქტურული რეფორმები და შევიმუშაოთ ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ერთიანი სტრატეგია. ეს დავალება ეკონომიკის სამინისტროს უკვე მიღებული აქვს და ამაზე ისინი უვე მუშაობენ,“ — განაცხადა პრემიერმა.

პრემიერმა ასევე ისაუბრა საერთაშორისო სავალუტო ფონდის გუშინდელ შეხვედრაზე, სადაც საქართველოს პროგრამის შესრულების მე-7 ეტაპი განიხილეს და IMF-მა კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს მიღწევები ეკონომიკური თვალსაზრისით, განსაკუთრებით ეკონომიკური კრიზისის საპასუხოდ მთავრობის მიერ მიღებული ბიზნესის მხარდაჭერის კონკრეტული გეგმა.

მთავრობის მეთაურის თქმით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით, საქართველოში ეკონომიკური ზრდა 2021 წელს იქნება დაახლოებით 4,3%, თუმცა ასევე აღინიშნა, რომ ერთმნიშვნელოვნად უნდა გაგრძელდეს სტრუქტურული რეფორმები და ყურადღება უნდა გამახვილდეს მაკროეკონომიკური მაჩვენებლების შესრულების დისციპლინაზე.

„ეს თითოეულ ჩვენგანს ეხება, რამეთუ ითვალისწინებს როგორც ხარჯვით, ასევე საშემოსავლო ნაწილს. აუცილებელია, რომ 2021 წელი უაღრესად ფრთხილად და გონივრულად გავატაროთ, ეს არის ის პოსტკრიზისული სწრაფი ეკონომიკური აღდგენის პოტენციალი, რომელიც უნდა შევუნარჩუნოთ როგორც ქვეყნის ეკონომიკას, ასევე ჩვენს თითოეულ მოქალაქეს. ასევე, მინდა შეგახსენოთ, რომ საქართველო იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც საერთაშორისო სავალუტო ფონდთან პანდემიის პირობებში ეკონომიკური კრიზისული პროგრამა დაამტკიცა და ამან ჩვენ მოგვცა შესაძლებლობა, დონორი ორგანიზაციებისგან სწრაფად მიგვეღო დახმარება“, — აღნიშნა პრემიერმა.

გიორგი გახარიამ ყურადღება გაამახვილა პროექტზე — „მთავრობის ანგარიში მოქალაქეებს“ და აღნიშნა, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მთავრობის მხრიდან მოქალაქეებისთვის წლევანდელი ანგარიშების ჩაბარება, რადგან 2020 წელი ეკონომიკური და პანდემიასთან დაკავშირებული გამოწვევების თვალსაზრისით საკმაოდ მძიმე წელია.

პრემიერმა ოპონენტებს მიმართა, რომ ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საქმეების კეთებაში შეჯიბრისთვის აღნიშნული პლატფორმა კარგი შესაძლებლობაა.

„ამ კვირიდან დაიწყო მთავრობის ანგარიშების წარდგენა მოქალაქეებისთვის. ამას აკეთებენ ჩვენი თითოეული სამინისტროს წარმომადგენლები. ეს ღონისძიებები გაგრძელდება წლის ბოლომდე. თითოეული სამინისტრო წარდგება საზოგადოების წინაშე. განსაკუთრებით ხაზგასასმელია წლევანდელი ანგარიშების ჩაბარების მნიშვნელობა, რადგან 2020 წელი საკმაოდ მძიმე წელია ეკონომიკური და პანდემიასთან დაკავშირებული გამოწვევების თვალსაზრისით და უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ ეფექტურად იმუშავა თითოეულმა სამინისტრომ. ჩვენს მოქალაქეებს მინდა ვუთხრა, რომ ეს ანგარიშები ღიაა, ასევე მედიასაშუალებებით შეიძლება მათი ნახვა. ასევე ოპონენტებს მინდა მოვუწოდო, რომ ეს ის პლატფორმაა, სადაც ჩვენ შეგვიძლია ერთმანეთს შევეჯიბროთ ჩვენი ქვეყნისთვის უფრო კარგი, მნიშვნელოვანი საქმეების კეთებაში. განსაკუთრებით დღეს, როდესაც ყველას კარგად გვესმის, რომ 2021 წელი იქნება გამოწვევებით სავსე, პირველ რიგში, ეკონომიკური თვალსაზრისით და უაღრესად დიდი მნიშვნელობა ექნება გონივრულ, ეფექტიან, ერთობლივ მუშაობას“, — განაცხადა გიორგი გახარიამ.

მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახური

მოლაპარაკებისთვის 10-დღიანი სივრცე რჩება!

ირაკლი კობახიძის თქმით, მოლაპარაკებებისთვის სივრცე ისევ რჩება. ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა პარტიის ოფისში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა. მან ასევე აღნიშნა, რომ მოლაპარაკებები მოიცავს როგორც იმ სამ პარტიას, რომლებმაც პარლამენტს სადეპუტატო უფლებამოსილების თხოვნით არ მიმართეს და იმათ, ვინც შესაბამისი განცხადება უკვე დაწერა.

„არის ალბათ ეს სამი პარტიაც და არიან ის პარტიებიც, რომლებმაც განცხადება უკვე დაწერეს, მაგრამ მათთანაც არის საუბრის სივრცე. ანუ სივრცე არის უფრო ფართო, ვიდრე შეიძლება მოიცავდეს სამ პოლიტიკურ პარტიას. დროის თვალსაზრისითაც ვადა რჩება, დაახლოებით 10-დღიანი, იმიტომ, რომ დაახლოებით 10 დღეში შეუწყდებათ მათ სადეპუტატო უფლებამოსილება. მანამდე ჯერ კიდევ არის სივრცე, რომ შედგეს გარკვეული დიალოგი და მივაღწიოთ შეთანხმებას. თუ მათი მხრიდან არის მზაობა ამისთვის, ბუნებრივია, შედგება შეთანხმება. თუ საბოლოო ჯამში დადასტურდება, რომ ვიღაცას არ ჰქონდა ამის მზაობა და თვითმიზანი იყო მოლაპარაკებების ჩაშლა, ამ შემთხვევაში ისინი არ შეუერთდებიან შეთანხმებას და მათ მიმართ, ბუნებრივია, ამოქმედდება სამართლებრივი რეაგირების ის მექანიზმები, რომლებსაც ვუპირისპირებთ საპარლამენტო საბოტაჟს“, — განაცხადა კობახიძემ. ჯერჯერობით უცნობია თუ როდის გაიმართება „ქართულ ოცნებასა“ და ოპოზიციას შორის მოლაპარაკებების მეხუთე რაუნდი. პარალელურად, 8 ოპოზიციური პარტიიდან ხუთმა სუბიექტმა პარლამენტს უფლებამოსილების შეწყვეტის თხოვნით უკვე მიმართა. შესაბამისი განცხადებები საკანონმდებლო ორგანოში ამ დროისთვის არ წარუდგენია სამ პარტიას: „გირჩს“, „მოქალაქეებსა“ და „პატრიოტთა ალიანსს“.

ვის შეუწყდება სახელმწიფო დაფინანსება?!

პარტიას, რომლის წევრებსაც შეუწყდებათ საპარლამენტო მანდატები ან რომლებიც საპარლამენტო მუშაობაში არ ჩაერთვებიან, სახელმწიფო დაფინანსება შეუწყდებათ ან ერთი წლით შეუჩერდებათ, — ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა, პარტია „ქართული ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა ირაკლი კობახიძემ გუშინ განაცხადა. მისი თქმით, აღნიშნულს ითვალისწინებს საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომელიც საქართველოს პარლამენტში უკვე შევიდა.

„დღეს თქვენი ყურადღება გვინდა, გავამახვილოთ რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე. პირველ რიგში, გაცნობებთ, რომ გუშინ პარლამენტში ინიციატივის წესით შევიდა კანონპროექტების პაკეტი, რომელიც საპარლამენტო საბოტაჟის წინააღმდეგ არის მიმართული. აღნიშნული პაკეტი ითვალისწინებს სახელმწიფო დაფინანსების შეწყვეტასა და შეჩერებას იმ პოლიტიკური პარტიებისთვის, რომლებიც სრულად არ ითვისებენ საპარლამენტო მანდატებს, ან რომელთა წარდგენით არჩეული დეპუტატები არასაპატიო მიზეზით აცდენენ პარლამენტის პლენარულ სხდომებს. აღნიშნული კანონპროექტის მიხედვით, პარტიას, რომლის წევრებსაც შეუწყდებათ საპარლამენტო მანდატები ან რომლებიც საპარლამენტო მუშაობაში არ ჩაერთვებიან, სახელმწიფო დაფინანსება შეუწყდებათ ან ერთი წლით შეუჩერდებათ. „საარჩევნო კოდექსში“ შესატანი ცვლილების თანახმად კი, იგივე პარტიები ვერ ისარგებლებენ მუნიციპალური და საპარლამენტო არჩევნებისთვის განკუთვნილი უფასო საეთერო დროით“, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

24 დეკემბრიდან შეზღუდვები, შესაძლოა, შემსუბუქდეს

ეკონომიკის მინისტრის ნათია თურნავას განცხადებით, არასასურსათო ვაჭრობის სექტორის წარმომადგენლებს შეხვდება და მათ შემოთავაზებებს მოისმენს.

როგორც თურნავა აცხადებს, მთავრობა ფრთხილად აკვირდება ინფექციის შემცირების ტენდენციებს და შესაბამისად, შესაძლოა, 24 დეკემბრიდან შეზღუდვები შემსუბუქდეს.

„24-დან მოსალოდნელია გარკვეული შემსუბუქება შეზღუდვების, თუმცა საზოგადოებაში არის ამ საკითხთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი განწყობა. ყველა ხედავს, რომ ჩვენ უფრო მეტად ავიყვანეთ კონტროლქვეშ მეორე ტალღის გავრცელება და ჩვენმა ჯანდაცვის სექტორმაც უფრო შვებით ამოისუნთქა.

ძალიან ფრთხილად ვაკვირდებით ტენდენციებს, ხვალ მაქვს შეხვედრა არასასურსათო ვაჭრობის სექტორთან და მოვისმენ მათგან, თვითონ რა პასუხისმგებლობას იღებენ თავის თავზე და როგორ ხედავენ რიგების მართვის მექანიზმებს. ამის შემდეგ, კვლავ შევიკრიბებით, ვიმსჯელებთ და მივიღებთ გადაწყვეტილებებს,“ — განაცხადა ნათია თურნავამ.

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲣᲚᲛᲐ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲛ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲫᲘᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲐᲥᲕᲔᲧᲜᲐ

ᲒᲐᲥᲪᲔᲣᲚᲘ ᲜᲐᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲐᲚᲘᲡ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲣᲚ-ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲐᲥᲘᲜᲐᲪᲘᲔᲑᲘ



(ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ)

„ᲐᲛ ᲬᲣᲗᲔᲑᲨᲘᲪ მედიაში ვხედავთ თავად მიხეილ სააკაშვილის ფარისევლურ ქმედებებს . კერძოდ, სააკაშვილის ერთგულ ფეისბუქ გვერდებზე, როგორებიცაა **„მიხეილ სააკაშვილი“, „ჩვენ ვირჩევთ მიხეილ სააკაშვილს“, „მიხეილ სააკაშვილი პრემიერად“,** ვრცელდება ვიდეო-რგოლები, სადაც სააკაშვილი ამბობს, რომ იგი იქნება უკრაინის პრემიერ-მინისტრი. ამის პარალელურად, მიხეილ სააკაშვილმა მისცა ინტერვიუ რადიო თავისუფლებას, სადაც მან განაცხადა, რომ უკრაინული ხელისუფლების შემოთავაზებაზე, გამხდარიყო პრემიერ-მინისტრი, მან უარით უპასუხა. ვფიქრობთ ეს პოლიტიკოსის მხრიდან, ფარისევლობაა (თეატრალური დადგმაა). რადგან მისი ლოიალური ფეისბუქ ჯგუფები ხალხს მოუწოდებენ, დაუჭირონ სააკაშვილის კანდიდატურას მხარი. ჩვენ შეგვიძლია პარალელი გავავლოთ საქართველოსთან. ამავე ინტერვიუში, მიხეილ სააკაშვილი კომენტარს აკეთებს, რომ მან უარი განაცხადა გამხდარიყო საქართველოს პრემიერ-მინისტრი, იმ არჩევნების შედეგების ფონზე, რომელიც ახლახან დასრულდა საქართველოში. მისი ციტატა ასე ჟღერს: **„მას შემდეგ, რაც ეგზიტპოლებისა და ხმების პარალელური დათვლის შედეგად, ჩემმა პარტიამ გაიმარჯვა, მე მაშინვე მივხვდი, რომ არ მსურდა პრემიერ-მინისტრობა.“** ძალიან რთულია ამ ახსნა-განმარტების გაგება, თუმცა მკაფიოდაა ნათქვამი, რომ მისმა პარტიამ გაიმარჯვა ეგზიტპოლებისა და ხმების პარალელური დათვლით. საქართველოში საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა ის ინფორმაცია, თუ როგორ ხდებოდა ხმების პარალელური დათვლა. იმ ორგანიზაციამ, რომელმაც ჩაატარა ხმების პარალელური დათვლა, აღიარა, რომ მათი ანგარიში ფალსიფიცირებული იყო, უფრო მეტიც, ორგანიზაციამ გამოასწორა თავისი შეცდომა და ოფიციალურად გაზარდა მმართველი პარტიის ხმების რაოდენობა არჩევნებში და, შესაბამისად, შეამცირა ოპოზიციის ხმების პროცენტული მაჩვენებელი. თავად ამ ორგანიზაციამ, და ამ ორგანიზაციას ჰქვია **„სამართლიანი არჩევნები“,** ლათინური ასოებით მათი აბრევიატურაა ISFED, ოფიციალურად განცხადა, რომ ხმების დათვლის დროს, შეცდომა იყო დაშვებული ფორმულაში, რის გამოც შესაბამისად შემცირებული იყო მმართველი პარტიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა და გაზრდილი იყო ოპოზიციის ხმები. საქართველოში არის ტელეკომპანია, რომელმაც გამოიძია ეს ვითარება და „ტვ პირველის“ ჟურნალისტებმა დაადგინეს, რომ ISFED-მა ეს შეცდომა გააზრებულად დაუშვა, რომ ეს არ იყო შეცდომა, არამედ იყო დაგეგმილი ქმედება, რამაც შედეგად გამოიღო იმ შედეგების გამოქვეყნება, რის შეცვლაც მოუხდა შემდეგ ორგანიზაციას. განაცხადა რა, რომ თითქოს ეს შეცდომა იყო. ის, ადამიანი, რომელმაც ამ ფორმულაში შეიყვანა შეცდომა, დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა ამ ორგანიზაციაში და ეს პიროვნება ახლა იმალება საქართველოს ხელისუფლებისგან, რადგან მისი სახელი და გვარი გასაჯაროვდა, რადგან სწორედ იგია ის პიროვნება, ვინც ხმების დათვლის ფორმულაში შეცდომა შეიყვანა.

სიუჟეტის ეთერში გასვლის შემდეგ, ქართველმა ჟურნალისტებმა დეტალური გამოძიება ჩაატარეს ამ ორგანიზაციაზე, რომელსაც ISFED ჰქვია. ამის შემდეგ უკვე განცხადა ორგანიზაციამ, რომ რეალურად მმართველმა პარტიამ 2 პროცენტით მეტი დააგროვა, თავდაპირველად ISFED-ი აცხადებდა, რომ ქართულმა ოცნებამ მიიღო 45.8%, ხოლო ცენტრალური საარჩევნო კომისია აცხადებდა, რომ ეს იყო 48.22%. თუმცა, ISFED-ის ახალი გასწორებული მონაცემებით, მმართველმა პარტიამ აიღო 47.6%, რაც პრაქტიკულად იგივე მონაცემია, რაც ცესკომ წარადგინა.

ჟურნალისტური გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ ამავე ორგანიზაციამ, ასეთივე შეცდომა დაუშვა 2003 წელს, იმ არჩევნების დროს, რომელიც ვარდების რევოლუციით დასრულდა. მაშინ ამ კომპანიის დირექტორი იყო ზურაბ ჭიაბერაშვილი, რომელიც ხელისუფლებაში მიხეილ სააკაშვილის მოსვლისთანავე გახდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი. ეს სწორედ ის ადამიანია, რომელიც ხელმძღვანელობდა დემონსტრანტებს, რომლებიც მაშინ პარლამენტში შეიჭრნენ. სწორედ მან უზრუნველყო რეჟიმის შეცვლა. ამას მოწმობს ჟურნალისტების მიერ მაშინ გადაღებული ვიდეო. სწორედ ჭიაბერაშვილის დამსახურებით გამოვიდა ეს მანევრი და ფარსი, შემდეგ იგი სააკაშვილის ადმინისტრაციაში იკავებდა ჯანდაცვის მინისტრის პოსტს, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ კი იგი გაასამართლეს, კერძოდ, სწორედ ხმების დათვლასთან დაკავშირებული მაქინაციებისა და გაფლანგული 5 მილიონის გამო. საქართველოს პოლიტიკური ისტორიის ეს ნაწილი მკაფიოდ მიუთითებს იმაზე, რომ ყოველივე ეს იყო აფიორა და ასეთივე აფიორა შესაძლოა მოხდეს უკრაინაში, რადგან მიხეილ სააკაშვილი მჭიდროდ თანამშრომლობს კომპანია ISFED-ის უკრაინულ ფილიალთან. ეს კომპანია ცნობილი გახდა იმ სკანდალით, რომელიც საქართველოში საპარლამენტო არჩევნებამდე მოხდა, გავრცელდა ინფორმაცია თითქოსდა ფრანგული კომპანია იფსოსი ატარებდა საქართველოში საზოგადოებრივი აზრის კვლევას და აღმოჩნდა, რომ ეს არ ტარდებოდა ფრანგული კომპანიის მიერ, ფრანგულმა კომპანიამ ოფიციალური განცხადება გააკეთა, რომ უკრაინულ ფილიალს მთავარი არხის დაკვეთით არ ჩაუტარებია ამოკითხვა, გაირკვა, რომ რეალურად კვლევა ჩაატარა საქართველოში დაქირავებულმა ISFED ამ უკრაინული ოფისის ერთადერთმა წარმომადგენელმა. ჩვენ ახლა ვხედავთ იმის საფრთხეს, რომ სწორედ ეს სტრუქტურა გამოიყენოს უკრაინაშიც, თავისი სოციოლოგიური სტრუქტურით, რომ შექმნან მცდარი განწყობები ხალხში“, — განაცხადა **ოლეგ დეინეკამ**.



ᲡᲐᲓ ᲩᲔᲩᲜᲔᲗᲘ, ᲡᲐᲓ ᲠᲣᲚᲝᲕᲡᲘ?!

ᲠᲐᲨᲘ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲖᲔᲚᲘᲛᲮᲐᲜ ᲮᲐᲜᲒᲝᲨᲕᲘᲚᲡ ᲡᲐᲜᲓᲠᲐᲡ ᲚᲝᲑᲘᲠᲔᲑᲐ?!

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘ ᲡᲐᲜᲓᲠᲐ ᲠᲣᲚᲝᲕᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲖᲔᲚᲘᲛᲮᲐᲜ ᲮᲐᲜᲒᲝᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲒᲔ�გᲛᲘᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡ ᲓᲔᲢᲐᲚᲔᲑᲡ ᲐᲡᲐᲯᲐᲠᲝᲔᲑᲡ. ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲐᲣ�წᲧᲔᲑᲚᲘᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲐ ᲓᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲛᲐ ᲡᲘᲚᲕᲘᲐ ᲨᲢᲝᲑᲔᲠᲛᲐ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲜᲓᲠᲐ ᲠᲣᲚᲝᲕᲡᲘ ᲡᲣᲠᲓᲐ ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲨᲘ ᲩᲐᲡᲕᲚᲐ, ᲠᲐᲗᲐ ᲮᲐᲜᲒᲝᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲝᲓᲐ, ᲮᲐᲜᲒᲝᲨᲕᲘᲚᲛᲐ მას დაუჯავშნა სასტუმროში ნომერი, ის მანქანით უნდა დახვედროდა რულოვსს რკინიგზის სადგურთან, მაგრამ ამ შეხვედრის ორგანიზატორი ᲮᲐᲜᲒᲝᲨᲕᲘᲚᲘ მოკლეს!..

ჟურნალისტის თქმით, ეს დეტალები ცნობილია სანდრასა და ხანგოშვილის ინტერნეტ მიმოწერიდან, რაც გამოძიებამ ამოიღო ხანგოშვილის მობილური ტელეფონიდან. ეს უნდა ყოფილიყო მათი პირველი შეხვედრა პირისპირ. ჟურნალისტი აცხადებს, რომ მოგვიანებით **ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ** მასთან ინტერვიუში განაცხადა, რომ მისი მეუღლე ბერლინში ჩეჩნური თემის დახმარებით იყო დაინტერესებული, ხოლო ხანგოშვილს სურდა სანდრასთვის ჩეჩნური თემის წარმომადგენლები და ადგილზე არსებული სიტუაცია გაეცნო. თუმცა იმ დღეს, როცა სანდრა უნდა ჩასულიყო ბერლინში, ხანგოშვილი მოკლეს.

ჟურნალისტის თქმით, სანდრა რულოვსი ბერლინში ამსტერდამიდან უნდა ჩასულიყო, მას მატარებლის ბილეთიც ჰქონდა, ამ მგზავრობას სულ რამდენიმე საათი სჭირდებოდა, თუმცა ის არ ჩავიდა გერმანიაში, რადგან იცოდა, რომ რაღაც მოხდა.

„ცენტრ დოსიეს“ ცნობით, რულოვსი ხანგოშვილს პოლიტიკური თავშესაფრის მიღებაში ეხმარებოდა, რის გამოც საქართველოს ექსპრეზიდენტის მეუღლემ მიგრაციის სამსახურში შუამდგომლობის წერილი 2019 წელს გააგზავნა.

ᲐᲜᲐᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲘ ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲛᲐᲘᲡᲘᲐᲘᲐ აცხადებს, რომ გაუგებარია ეს თამაშები, სად ზელიმხანი და სად სანდრა რულოვსი. ანალიტიკოსის აზრით, ბევრ კითხვას აჩენს, რა კავშირი შეიძლება ჰქონოდა ამ ორ ადამიანს ერთმანეთთან. ამიტომ საჭიროა დაიდოს კონკრეტული ფაქტები სანდრასთან მიმართებითაც.

„ის, რომ სანდრა რულოვსი სამი საათის განმავლობაში დახურულ კარს მიღმა დაკითხეს გერმანიის პროკურატურაში, სერიოზული კითხვების არსებობაზე მიუთითებს. ეს ნიშნავს, რომ შეიძლება არსებობდეს მის მიმართ ეჭვები. გერმანიის პროკურატურა საქართველოს პროკურატურა ნამდვილად არ არის, გერმანელებმა რომ იციან თავიანთი საქმე, მით უმეტეს, გერმანიის პროკურატურამ, ეს არავისთვის გასაკვირი არ არის, გერმანიის პროკურატურამ დაახლოებით ერთ კვირაში გახსნა ეს მკვლელობა, რაშიც რუსეთის სპეცსამსახურების თანამშრომლები პირდაპირ დაადანაშაულეს. რუსებმა კი ვერ შეძლეს ამის უარყოფა“, — აღნიშნა ვახტანგ მაისაიამ და სააკაშვილის ნათქვამს გამოეხმაურა, რომ სანდრა ჩეჩნების პრობლემებით იყო დაინტერესებული.

„ᲣᲙᲐᲪᲠᲐᲕᲐᲓ, ᲡᲐᲜᲓᲠᲐ ᲠᲣᲚᲝᲕᲡᲘ ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲝᲚᲝ�გᲘ ᲛᲫᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲘ? ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ, ᲡᲐᲜᲓᲠᲐ ᲠᲣᲚᲝᲕᲡᲛᲐ ᲗᲣ ᲘᲪᲘᲡ, ᲩᲔᲩᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲣᲛᲘ ᲠᲐ ᲙᲝᲛᲞᲝᲜᲔᲜᲢᲘᲡ�გᲐᲜ ᲨᲔᲓᲒᲔᲑᲐ? ᲔᲡᲔᲪ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲘᲡ ᲫᲕᲔᲨ ᲓᲐᲕᲐᲓᲔᲜᲝᲗ. ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ, ᲩᲔᲩᲜᲔᲗᲘ ᲗᲣ ᲘᲪᲘᲡ ᲡᲐᲜᲓᲠᲐ ᲠᲣᲚᲝᲕᲡᲛᲐ? ᲡᲐᲓ ᲠᲣᲚᲝᲕᲡᲘ, ᲡᲐᲓ ᲩᲔᲩᲜᲔᲗᲘ? ᲔᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲡᲐᲡᲐᲪᲘᲚᲝᲐ“.

ანალიტიკოსს კითხვები უჩნდება იმასთან დაკავშირებითაც, რაში სჭირდებოდა ზელიმხან ხანგოშვილს თავშესაფრის მოძიება და სანდრა რულოვსის ლობირება? ჩეჩნური დიასპორა საკმაოდ ძლიერია, ზელიმხან ხანგოშვილის ქეისი ყველამ იცოდა, ავსტრიაში, გერმანიაში მას არ სჭირდებოდა არავის ლობირება და შუამავლების მოძიება, გერმანიამ მას ისედაც მისცა პოლიტიკური თავშესაფარი. გერმანიაში რომ ჩავიდა, გერმანიის მთავრობამ მას ეგრევე მიანიჭა პოლიტიკური თავშესაფარი. მას საკმაოდ ძლიერი სოციალური და პოლიტიკური მხარდაჭერა ჰქონდა, ამიტომაც იყო, რომ რუსულმა სპეცსამსახურებმა განახორციელეს მისი დემონსტრაციული მკვლელობა.

ვახტანგ მაისაია იმედოვნებს, რომ გერმანიის პროკურატურა ამ საქმესაც ბოლომდე გამოიძიებს ისევე, როგორც ამ მკვლელობის შესახებ დადო მაღალპროფესიული დასკვნა, რაც რუსეთის პროკურატურამ, სპეცსამსახურებმა და რუსეთის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამაც კი ვერ უარყო. ამ მაღალპროფესიული დასკვნის შემდეგ პუტინი გადავიდა იმის მტკიცებაზე, რომ თურმე ზელიმხანი იყო ტერორისტი და ტერორისტების ლიკვიდაცია თურმე საერთაშორისო პრაქტიკაში რეალური და ადეკვატური ქმედება.

ანალიტიკოსი **ᲐᲛᲘᲠᲐᲜ ᲡᲐᲚᲣᲫᲕᲐᲫᲔ** შარშანდელ პერიოდს იხსენებს, როცა ბერლინში ზელიმხანის დაღუპვის გამო ერთი ამბავი ატყდა და მთელი საინფორმაციო შტურმი წამოვიდა ჩვენს ხელისუფლებაზე, მათ შორის, იყო ასეთი განცხადებებიც — „ხანგოშვილის საქმე და პრორუსული ოცნება“...

ამირან სალუქვაძის აზრით, ამ საქმეში კითხვები საკმარისადაა. კერძოდ, ექსპრეზიდენტს არ უხსენებია, რომ მისი მეუღლე ზელიმხანს თავშესაფრის მიღებაში უნდა დახმარებოდა, რაც, წესით, უნდა სცოდნოდა. ამასთან, საეჭვოა რულოვსთან შეხვედრის და მკვლელობის დღის დამთხვევა, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რატომ უნდა ჰქონოდა რაიმე კავშირი სანდრა რულოვსს ზელიმხან ხანგოშვილთან. ასევე, საინტერესოა, ამ ერთი წლის განმავლობაში, რაც გერმანიის სტრუქტურები იძიებენ ხანგოშვილის მკვლელობის საქმეს, თავად რულოვსმა რატომ არ გამოიჩინა ინიციატივა, ეთანამშრომლა გამოძიებასთან.

ᲨᲔᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲗ, პანკისის ხეობის მკვიდრი ზელიმხან ხანგოშვილი ბერლინში 2019 წლის 23 აგვისტოს მოკლეს. ბერლინის პოლიციამ მკვლელობის ბრალდებით რუსეთის 48 წლის მოქალაქე დააკავა, რომლის ნამდვილი ვინაობაც დღემდე უცნობია. ჟურნალისტური გამოძიებით დადგინდა, რომ ის ვადიმ კრასიკოვია, რომელსაც რუსეთში ორი შეკვეთილი მკვლელობისთვის ეძებდნენ. როგორც ამბობენ, კრასიკოვს თანამზრახველი ჰყავდა და ის რუსეთის უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის (ФСБ) სპეცდანაყოფ „ვიმპელის“ ყოფილი ოფიცერი რომან დემიანჩენკოა.

ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲚᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

...რა სასაცილოდ ჟღერს პარტიების დაფინანსების თემა!...

დემოკრატიულმა, „სახალხო“ არჩევნებმა ამრიკაშიც კი ჩაილულის წყალი დალია...

— დავიღალეთ! — თქვა საქართველოს პრეზიდენტმა **სალომე ზურაბიშვილმა** საქართველოს მე-10 მოწვევის პარლამენტის პირველ სესიაზე გამოსვლისას და ამით საზოგადოების უდიდესი ნაწილის განწყობაც გამოხატა!

ჩვენ მართლაც დავიღალეთ თვალებში ნაცრის შეყრით — გაუთავებელი კინკლაობით სულგაყიდულ პოლიტიკოსებს შორის, რომელმაც უბინძურესი სახე მიიღო და ქვეყანა მოღალატეთა და ღვთისმგმობთა საჯილდაო ქვად აქცია.

ბევრი შიშობს: თუ ოპოზიციად წოდებული დესტრუქციული ძალა ჯორიდან არ ჩამოვა და პარლამენტში არ შეგრიალდება, ეს „ქართული დემოკრატიის“ კრახი იქნება! მეტიც, მათი აზრით, ჩვენ მივიღებთ იმ ავადსახსენებელი კომუნისტური სისტემის ანალოგს, სადაც ყველაფერს ერთი პარტია როგორც სურდა, ისე ჭრიდა და კერავდა!

ერთი შეხედვით, ასეც იქნება — **„ქართულ ოცნებას“** სხდომათა დარბაზში არ ეყოლება ოპონენტი, რომელიც მათ მიერ წარდგენილ ნებისმიერ საკანონმდებლო ინიციატივას ფორმალურად მაინც გააკრიტიკებს!

ერთი სიტყვით, ვთანხმდებით იმაზე, რომ თუ აგონიამდე მისული ქუჩის ოპოზიცია არ შევა პარლამენტში, ერთის მხრივ, „ქართულ დემოკრატიას“ „დედა“ არ ეყოლება, ხოლო, მეორეს მხრივ კი „ქართულ ოცნებას“ — კრიჭაში ჩამდგარი ოპონენტი.

კარგია ეს თუ ცუდი?!

გააჩნია, რა კუთხიდან შევხედავთ.

ის, რომ დესტრუქციული, ბოლომდე გაკოტრებული ოპოზიცია (ასეთი რომ არის, ბოლო თვეებმა აშკარად დაამტკიცა) პარლამენტში არ შევა, ძალიან კარგია. ამით ჩვენ ავცდებით იწილო-ბიწილოს და „გამიშვი-დამაკავეს“ გაუთავებელ სცენებს, რომელსაც არანაირი სარგებლობის მოტანა არ შეუძლია საქართველოსთვის!

თუ რას ვგულისხმობ ამ სიტყვებში, მოგვიანებით ვიტყვი.

ზოგ-ზოგიერთებისგან განსხვავებით, მე ნაკლებად მჯერა რადიკალური ოპოზიციის მხრიდან დაანონსებული რევოლუციის — ამის მზაობა ქვეყანაში არ იგრძნობა, მაგრამ, ყველაზე ცუდი, რაც მათ შეუძლიათ გააკეთონ, სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოშლა და ამ გამძვინვარებული ეპიდემიის ფონზე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაქსიმალურ კრიზისში გადაყვანაა, რა თქმა უნდა, თუ ხელისუფლება სათანადო ზომებს არ მიიღებს და ხალხიც ამას შეეგუება!

ახლა კი იმაზე ვიტყვი, თუ რატომ არ არის ქვეყნისთვის კატასტროფა ოპოზიციის ქუჩაში დარჩენა და საპარლამენტო მანდატებზე უარის თქმა?!

საქმე ისაა, რომ დესტრუქციული ოპოზიციის პარლამენტში ყოფნა ხელს არ შეუშლის ანტიქართული საკანონმდებლო ინიციატივების თავიდან აცილებას — ორივე მათგანის (პოზიციის და ოპოზიციის) უკან ერთი და იგივე ძალები დგანან, რომელთა მიზანი სულაც არ არის საქართველოს ინტერესების შესატყვისი. აბა, გაიხსენეთ, მთელი ამ 8 წლის მანძილზე, რომელ ანტიქართულ კანონპროექტზე განაცხადეს პროტესტი **„ნაციონალებმა“** და მისმა ანასხლეტებმა ან, თუნდაც, **„პატრიოტთა ალიანსმა“**?!

რამდენადაც მახსოვს, არცერთზე.

მაშ, რა სარგებლობას მოუტანს ქვეყანას ეს „მრავალპარტიული“ პარლამენტი? — არც არაფერს!

თუ ახლადარჩეულმა პარლამენტმა ფუნქციონირება ბოლომდე გააგრძელა, საზოგადოება მხოლოდ პოლიტიკური შოუების („სამკვდრო-სასიცოცხლო“ ჯირითის) მოწმე არ გახდება, არსებითად კი ჩვენს სასარგებლოდ არაფერი შეიცვლება.

თუ სხვა კუთხიდან შევხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ აგონიაში მყოფი ოპოზიციის ქუჩაში დარჩენა და მათი მხრიდან გაუთავებელი დესტრუქციული მოწოდებები საზიანოა ქვეყნისთვის, აქვს მეორე მხარეც — ისინი ბოლომდე გამოაჩენენ თავიანთ ნამდვილ სახეს! მუდმივი დესტაბილიზაცია კი ხალხს ყელში ამოუვა და როგორც ფორმალური ოპოზიციური სუბიექტები, პოლიტიკურ გვამებად იქცევიან.

დიახ, ქუჩაში დარჩენის შემთხვევაში მათ სრული პოლიტიკური კრახი ემუქრებათ!

რაც შეეხება **„ქართულ ოცნებას“,** მას რამდენიმე მცირემანდატიანი პოლიტიკური პარტიის შესვლის შემთხვევაშიც, ფაქტიურად ერთპარტიული პარლამენტის პირობებში მოუწევს მუშაობა, რადგან, ისინი არსებით გავლენას ვერ მოახდენენ პარლამენტის დღის წესრიგზე და მხოლოდ დემოკრატიული ფასადის გალამაზების მისიას შეასრულებენ.

ერთპარტიული პარლამენტი კი კარგია იმ თვალსაზრისითაც, რომ მათ ნაკლები შანსი ექნებათ დესტრუქციულ ოპოზიციას (უპირველესად, იგულისხმება „ნაცმოძრაობა“ და მისი განაყოფები) გადააბრალონ წარუმატებლობა და იძულებულნი გახდებიან პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღონ — ჩვენ 8 წელია სისტემატურად გვესმის, რომ „ნაცმოძრაობის“ მავნებელური ქმედებები რომ არა, დღევანდელ ხელისუფლებას გაცილებით მეტის გაკეთება შეეძლო!

ის, რომ **„ნაცმოძრაობა“** პარლამენტში შეუსვლელობით თვითლიკვიდაციის გზას დაადგა, სულაც არ არის არც **„ძართული ოცნების“** და არც ჩვენი, საზოგადოების დამსახურება — მათ თვითონ გაითხარეს საფლავი, ახლა კი ჩვენზეა დამოკიდებული, ბოლოლურსმანს დავაჭედებთ მათ პოლიტიკურ კუბოს თუ ჩვენც შიგ ჩაგვიყოლებენ!

მარჩიელობა იმაზე, გაყალბდა თუ არა არჩევნები, არაფერს მოგვიტანს, უფრო სწორად, არსებითად არაფერს ცვლის ჩვენს სასარგებლოდ, რადგან, ვერც ხელახალი და ვერც რიგგარეშე არჩევნები ამ ეტაპზე, გარდა ზიანისა (მატერიალური და მორალური), ქვეყანას სარგებელს არ მოუტანს: **ხელახალი (ვადამდელი) არჩევნების შემთხვევაში, ისევ იგივე ხალხი შევა პარლამენტში — ზოგი მეტი, ზოგიც ნაკლები, თუმცა, როგორც იტყვიან, შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ შეიცვლება!**

ვიდრე **„ნაცების“** და მათი ანასხლეტების ხელისუფლებაში დაბრუნების შანსი არსებობს, **„ქართულ ოცნებას“** თავი ქუდში აქვს — ამომრჩეველთა უმრავლესობა **„ნაციონალების“** დაბრუნებას არ დაუშვებს. არც ქუჩაში მდგარი და ბარიერს გარეთ დარჩენილი პარტიები უქნია ღმერთს, რომ „ქართული **ოცნება“** სხვა სუბიექტებით ჩაანაცვლონ — რჩება ერთადერთი გზა: **ახალი (თვისობრივად განსხვავებული) პოლიტიკური ერთობის ჩამოყალიბება, რომელიც საერთო იდეოლოგიის გარშემო გაერთიანდება და ერთსაც და მეორესაც საკუთარ ადგილს მიუჩენს ქართულ პოლიტიკაში. ყოველ შემთხვევაში, წერტილს დაუსვამს პარლამენტში შექმნილ დღევანდელ რეალობას: „ქართულ ოცნებას“ უკვე აღარ შეეძლება მიზანმიმართული უნიათობა დესტრუქციულ ძალებს გადააბრალოს!**

მიუხედავად დიპკორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების აღიარებისა, რომ საქართველოში საპარლამენტო არჩევნები დემოკრატიულ ვითარებაში ჩატარდა, მიუხედავად, **„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“** განცხადებისა, რომ არჩევნები არ გაყალბებულა და მათი მონაცემები არსებითად ემთხვევა ცესკოს მონაცემებს, პირიქით, ჩემი აზრით — არჩევნები გაყალბდა და ამ გაყალბების საიდუმლო თვით საარჩევნო გარემოში (საარჩევნო კანონმდებლობა, დაუზუსტებელი სიები) დევს. ეს კარგად იციან ყოფილი ხელისუფლების **„ხელმარჯვე ოსტატებმაც“**, რომლებმაც თავად დაუდეს სათავე გაყალბების მექანიზმს ჯერ კიდევ შევარდნაძის ზეობის პერიოდში.

თუმცა, მუდმივი აჟიოტაჟის, ანტიქართული სულისკვეთების (მარიონეტი) პარტიების მომრავლებისა და უსიტყვოდ მორჩილთა გადეპუტატების მიზეზი, მარტო საარჩევნო გარემოში (საარჩევნო სისტემაში) არ დევს - **სახელმწიფოს დასუსტების მთავარი ფაქტორი სახელმწიფო მოწყობის ახალი სისტემაა, რომელიც შორს დგას ეროვნული თავისებურებებისგან.**

განვიხილოთ ცალ-ცალკე.

დღეს საპარლამენტო არჩევნები ტარდება ისეთი სისტემით, რომელიც ხელს არ უწყობს პროფესიონალი, თავისუფალი, ინიციატივიანი კანდიდატურების მომრავლებას. ხშირად გვსმენია, რომ ყოველი წინა პარლამენტი სხვადასხვა მახასიათებლებით არსებითად სჯობდა მის მომდევნოს - რაც არ უნდა გაგვიკვირდეს, შევარდნაძისდროინდელი პარლამენტი უფრო ქმედითუნარიანი (ქართული სულისკვეთების) იყო, ვიდრე, საა კაშვილისდროინდელი და შემდგომი პარლამენტები.

2024 წლიდან, ანუ, მომდევნო „პროპორციული“ პარლამენტი, საერთოდ დაკარგავს თავის ფუნქციას, რადგან კენჭს ვუყრით არა პერსონებს, არამედ პოლიტიკურ პარტიებს, რომელთაც არანაირი პასუხისმგებლობა არ გააჩნიათ ამომრჩევლის წინაშე. რაც ყველაზე ნიშანდობლივია, არც ერთი პარტია არ არის იდეოლოგიის გარშემო შეკრული ერთობა, არც ერთ მათგანს არა აქვს სახელმწიფოს განვითარების პროგრამა და სტრატეგია, მათი წინასაარჩევნო კამპანია მხოლოდ და მხოლოდ დემაგოგიური დაპირებებით შემოიფარგლება.

დიახ, საქართველომ გეზი აიღო მხოლოდ პროპორციულ სისტემაზე, როცა ქვეყანას არც ერთი პროფესიონალური პარტია არა ჰყავს.

ზოგადად, არჩევნებმა ჩვენს ქვეყანაში მაშინ დაკარგა აზრი, როცა უარი ვთქვით მაჟორიტარულ არჩევნებზე. არადა, კვალიფიციური პარტიების არარსებობის შემთხვევაში პირიქით უნდა ყოფილიყო.

თუ სტატისტიკას გადავხედავთ — **მსოფლიოს 199 ქვეყნიდან 91-ში ტარდება მხოლოდ მაჟორიტარული არჩევნები, 70-ში — მხოლოდ პროპორციული, 30-ში — შერეული.**

ზემოთ ნახსენები მიზეზის გათვალისწინებით, საქართველოში მიზანშეწონილია მხოლოდ მაჟორიტარული სისტემით არჩევნების ჩატარება, სადაც კენჭი ეყრება არა ამორფულ (უიდეო) პარტიას, არამედ, პიროვნებას საკუთარი საქმიანი და ადამიანური თვისებების გათვალისწინებით, სადაც არჩეული პასუხისმგებელია ამომრჩევლის წინაშე. ჩვენ არათუ მაჟორიტარული, არამედ არჩევნების შერეული სისტემაც გაგვიუქმეს და პირში ჩალაგამოვლებული დაგვტოვეს!

რაც შეეხება სახელმწიფოს მოწყობის სისტემას, საპარლამენტო მოდელზე გადასვლით საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, საყრდენი გამოაცალეს - ჯერ ერთი, ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით, საქართველო არ არის და არც შეიძლება იყოს კოლექტიური მართვის ქვეყანა, სადაც პასუხისმგებელია ყველა, მაგრამ არავინ არ იღებს პასუხისმგებლობას!

აქედან გამომდინარე, საქართველო, როგორც საპრეზიდენტო რესპუბლიკა (რაც არ უნდა სუსტი პრეზიდენტით ყოფილიყო წარმოდგენილი), გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე დღევანდელი — საპარლამენტო მოდელის შემთხვევაში, როცა ფორმალურად სახელმწიფოს მეთაურად ჯერ კიდევ (2024 წლამდე) ითვლება უფლებაშეკვეცილი პრეზიდენტი, ხოლო რეალურ პირველ პირად — პრემიერ-მინისტრი, რომელსაც, როცა გინდა, მაშინ მოასრიალებ. რაც შეეხება პარლამენტს, ამაზე ზემოთ უკვე ვისაუბრეთ.

დასკვნის სახით კი ვიტყვი:

საარჩევნო სისტემა მნიშვნელოვანი ფაქტორია სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად. სპეციალისტთა აზრით, არასწორად, ეროვნულ თავისებურებებს მოკლებულ საარჩევნო სისტემებს უმძიმესი შედეგების მოტანა შეუძლია ნებისმიერი ქვეყნისთვის, თვით სახელმწიფოს დაშლამდეც კი!

მართალია, არ არსებობს იდეალური საარჩევნო სისტემა — ყველას თავისი ნაკლი და ღირსება გააჩნია, მაგრამ იგი მეტნაკლებად უნდა იყოს მორგებული ამომრჩეველთა თავისებურებებს.

დღეს ჩვენ, საზოგადოებას, იმის ილუზიაც არ უნდა გვქონდეს, რომ რაღაც დონით მაინც გავლენას ვახდენთ პოლიტიკურ პროცესებზე — ხალხს არავინ ეკითხება, ბაზარში ბალი ორი შაურია თუ ოთხი შაური, ანუ ვის აასკუპებენ ხელისუფლების უმაღლეს ვერტიკალზე. შესაბამისად, ბოსები არანაირ ვალდებულებას არ გრძნობენ ხალხის წინაშე!

ჩვენი სახელმწიფოებრიობის გადარჩენის გზა მაჟორიტარულ (ან, ყოველ შემთხვევაში, შერეულ) სისტემაზე და ძლიერი საპრეზიდენტო მოდელის დაბრუნებაზე გადის!

ამისთვის მინიმუმ თანამოაზრეთა საჩქაროდ გაერთიანება და ძლიერი ცენტრისტული პოლიტსუბიექტის შექმნაა საჭირო.

ზაურ ნაჭყებია

P.S. **არჩევნების გაყალბებაზე და „ქართული დემოკრატიის“ კრახზე არავინ მეკამათოს, რადგან ტოტალური გაყალბების მასშტაბებით თუ ვიმსჯელებთ, დემოკრატიის მექად წოდებულ ამერიკაში არ რცხვენიათ და ჩვენ საერთოდ ხმა როგორ უნდა ამოვიღოთ?!**

ამერიკის მაგალითზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მისმა უდიდებულესობა — დემოკრატიამ და დემოკრატიის უმთავრეს პირობად აღიარებულმა „სახალხო“ არჩევნებმა, ჩაილულის წყალი დალია.

ამ ფონზე არა სასაცილოდ, არამედ სატირლად ჟღერს პარტიების დაფინანსების თემაც — მითუმეტეს, ისეთი პარტიების, რომლებიც ხალხის მიერ ნებსით თუ უნებლიედ მინიჭებულ მანდატებზე უარს ამბობენ და თავიანთი „კეკლუცობით“ სახელმწიფოს ჩამოშლას უწყობენ ხელს...

კარგად გადაუსვით ხელი და მხურვალედაც მოეფერეთ, თუმცა, შეიძლება ბოლოს გაწბილებული დარჩეთ — დაფინანსებაზეც უარი თქვან!

ჩვენ საქართველოში ვცხოვრობთ!!!

ზ.ნ.

ᲘᲜᲕᲔᲡᲢᲘᲪᲘᲔᲑᲘ ᲛᲪᲘᲠᲓᲔᲑᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲘᲛᲔᲓᲘ

ᲘᲜᲕᲔᲡᲢᲘᲪᲘᲔᲑᲘ მცირდება, მაგრამ კლების ტემპი მოსალოდნელზე დაბალი აღმოჩნდა. უფრო მეტად პრობლემაა ის, რომ გაურკვეველია მომავალი წლის პროგნოზი. პანდემია ჯერ კიდევ მძვინვარეებს, ხოლო რამდენიმე დღის წინ დაწყებული ვაქცინაციის შედეგი, ამ ეტაპზე, რასაკვირველია, უცნობია.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემებით, 2019 წელთან შედარებით, წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა შემცირდა. შარშან პირველ კვარტალში, ინვესტიციების მოცულობამ 313.7 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, მეორე კვარტალში — 236.6 დოლარი, მესამე კვარტალაში — 396.0 დოლარი. რაც შეეხება წლევანდელ მაჩვენებელს, პანდემიის პირობებში ინვესტიციების მოცულობა შემცირებულია. წელს პირველ კვარტალში 174.7 მილიონი აშშ დოლარის უცხოური კაპიტალი შემოვიდა, მეორე კვარტალში — 241.6 დოლარის, ხოლო მესამე კვარტალაში - 302.6 დოლარის.

ინვესტიციების დიდად გაზრდა არც მეოთხე კვარტალშია მოსალოდნელი, რადგან ასეთ მძიმე პირობებში ბიზნესმენები ფულის დაბანდებისგან თავს იკავებენ, განსაკუთრებით კი, იმ ქვეყნებში, სადაც რთული ეპიდემიოლოგიური სიტუაციაა და შეზღუდვებია შემოღებული.

კლების მიუხედავად, საქართველოში ინვესტიციები დადებითი ტენდენციით ხასიათდება. როგორც სტატისტიკოსი **სოსო არჩვაძე** აღნიშნავს, ინვესტიციები მაინც არ უნდა ჩავთვალოთ ჩვენი ეკონომიკური აქტივობის სუსტ რგოლად.

„ინვესტიციების მოცულობა უფრო მეტად რომ არ შემცირდა, ეს უნდა გაგვიკვირდეს, გლობალური მასშტაბით შედარებისას აღმოჩნდა, რომ ჩვენ საშუალო მსოფლიო დონესთან შედარებით, გაცილებით ნაკლებად შეგვიმცირდა ინვესტიციები. მსოფლიოში თითქმის განახევრდა, 49%-ით არის შემცირებული, 2020 წლის პირველ ნახევარში. ჩვენთან 2,2-ჯერ უფრო ნაკლები ტემპით არის კლება. მძიმე მდგომარეობა არ გვაქვს, გასული წლის საშუალო კვარტალურ მონაცემებს თუ ავიღებთ, სადღაც 7%-ის ფარგლებშია კლება, წინა წელთან შედარებით, რაც 2-ჯერ უფრო დაბალია, ვიდრე საგარეო სავაჭრო ბრუნვის კლება იმავე პერიოდში“, — განმარტა სტატისტიკოსმა.

გარდა ამისა, ყველა სხვა მაკროეკონომიკური მაჩვენებლიდან — მშპ იქნება, საგარეო ვაჭრობა, ბრუნვის მოცულობა ქვეყნის შიგნით თუ სხვა, პირდაპირი უცხოური ინვესტიცია აღმოჩნდა ერთადერთი, რომელსაც კვარტლიდან კვარტლამდე არ ჰქონია კლების ტენდენცია, სულ აღმავალი გზით მიდიოდა. **„ინვესტიციებში მეორე კვარტალი სჯობდა პირველ კვარტალს, მესამე — მეორეს, ეს ფაქტია. მნიშვნელოვანი გარემოებაა ასევე ინვესტიციების მატება სოფლის მეურნეობაში, რაც იმის მანიშნებელია, რომ ამ დარგს გაცილებით მეტი როლის შესრულება შეუძლია მოსახლეობის დასაქმებასა და ეკონომიკურ ზრდაში, ვიდრე აქამდე იყო შესაძლებელი“,** — განაცხადა არჩვაძემ.

დიდი ალბათობით, პირდაპირი ინვესტიციების ზრდას, 2021 წლის მეორე კვარტლიდან უნდა ველოდოთ, რადგან ჯერ კიდევ დიდია ვაქცინაციასთან დაკავშირებული გაურკვევლობა. ასეთ ტენდენციას ვარაუდობს ანალიტიკოსი **გიორგი ღაღანიძე**.

„2020 წლის მესამე კვარტალში ინვესტიციები 23.6%-ით ნაკლებია, მაგრამ წლევანდელ მეორე კვარტალთან შედარებით, 25.2%-ით მეტია. ინვესტიციების გაზრდა იქნება დამოკიდებული მსოფლიო ეკონომიკის მდგომარეობაზე. ვნახოთ, რა შედეგს მოგვცემს მსოფლიოში დაწყებული ვაქცინაცია. თუ ეს იქნება ნიშანი იმისა, რომ პანდემია დასრულდა, მაშინ თავისთავად ცხადია, დაიწყება ეკონომიკის გამოცოცხლება. ასეთ შემთხვევაში კი, ინვესტიციების მოცულობა დადასტურებულად გაიზრდება. იმ შემთხვევაში, თუ ვაქცინამ ეფექტიანობა ვერ აჩვენა, მაშინ გვექნება ის შედეგი, როგორიც გვქონდა წელს“, — აღნიშნა ღაღანიძემ.

ᲑᲔᲥᲐ ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲞᲣᲠᲡ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐ ᲤᲐᲡᲘᲡ ᲣᲪᲕᲚᲔᲚᲐᲓ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲡ!

ᲠᲝᲒᲝᲠ ხვდება ქვეყანა პანდემიას და როგორია სახელმწიფო პოლიტიკა სასურსათო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით? რადიო „კომერსანტის“ გადაცემაში „აგრო სექტორი“ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი ხანიშვილი სახელმწიფოს მიერ ხორბლის სუბსიდირების პროგრამის შესახებ საუბრობს და აღნიშნავს, რომ საზოგადოება ე.წ სოციალურ პურს ფასის ცვლილების გარეშე მიიღებს. მისი თქმით, სახელმწიფოს სუბსიდირება 63 საწარმოს შეეხო.

„სასურსათო უზრუნველყოფის ნაწილში პანდემიის პირობებში გაზაფხულზე შევძელით ერთი თვის მოხმარებული ხორბლის სუბსიდირება, აქ კრიზისული იყო ის, რომ იმ პერიოდში რუსეთმა, რომელიც ყველაზე დიდი მომწოდებელია, გარკვეული კვოტები დააწესა და ქვეყანას, რომ არ შექმნოდა სასურსათო უზრუნველყოფის თვალსაზრისით საფრთხე, მთლიანად დავასუბსიდირეთ ერთი თვის მარაგი. ეს იყო 4 მილიონ ლარის ოდენობის თანხა. ჩვენ გვინდოდა, სოციალური პური მიგვეწოდებინა საზოგადოების ყველაზე მოწყვლადი ფენებისთვის ფასის ცვლილების გარეშე. ამ გადაწყვეტილებით ვფარავთ სრულიად საქართველოს. სუბსიდირებას 63 საწარმო მიიღებს, ჯარიმაც ეხება მათ, ვინც სუბსიდირებას მიიღებს და არ შეასრულებს პირობებს, სხვა საწარმოები რჩებიან თავისუფალი ფასწარმოების პირობებში, მათ თავის ასორტიმენტზე შეუძლიათ გაზარდონ ფასები. ფასის მატება სხვადასხვა წონის პურზე არის 10 თეთრიდან 20 თეთრამდე, ზოგი აცხობს 2-2,5 კგ-იან პურს, ამდენად, თავისუფლად იქნება შესაძლებელი, შევიძინოთ სოციალურად დასუბსიდირებული პური, თუ კი ამის სურვილი გვაქვს. მაგრამ იმ შემთხვევაში თუ გვინდა,რომ შევიძინოთ პური თონედან რომელიც ახლოს გვაქვს, ხაჭაპური, ლობიანი თუ ტორტი, იქ მოგვიწევს იმ ადეკვატური ფასის გადახდა, რომელიც მსოფლიოში არსებული ფასწარმოქმნიდან არის გამომდინარე“, — განაცხადა გიორგი ხანიშვილმა.

მინისტრის მოადგილე აცხადებს, რომ საქართველომ უნდა შეძლოს ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის მოცულობა და პროდუქციის ხარისხი გაზარდოს. მისი თქმით, ასევე უნდა შეიქმნას სწორი საფასო პოლიტიკა. გიორგი ხანიშვილის თქმით სწორედ ეს არის მთავრობის როლი და მისი თქმით, ამ პოლიტიკას მთავრობა იმ შესაძლებლობის ფარგლებში, რაც აქვს, ახორციელებს.

წელიწადში მოგვყავს 150 ათასი ტონა ხორბალი, ითესება 50-55 ათასი ჰექტარი, ჩვენ ახალი სათესლე მასალის შემოტანით და ფერმერების მიერ აგროკალენდრის სწორად დაცვით უნდა შევძლოთ საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა 4-5 ტონაზე მაინც ავიყვანოთ. ეს იქნება ბიზნესი და ასევე შეიქმნება მარაგი, თუმცა არა იაფი, არამედ მსოფლიო საბაზრო პრინციპით სტრუქტურირებული. დედოფლისწყაროს რომ გაცდებით, შირაქისკენ მიმავალ გზაზე, არის მანქანების თავშეყრის ადგილი, იქ რომ ჩახვალთ, ნახავთ რომ კახელი გლეხი ნიუ-იორკისა და მოსკოვის ბირჟის ფასებზე დაგელაპარაკებათ. შეიძლება თქვათ, საიდან იცისო, მაგრამ ისინი უყურებენ საერთაშორისო ფასებს. ბოლო წლებია, გინახავთ,რომ ფერმერი წუწუნებდეს 30 თეთრი ღირს ხორბალიო?! — იმიტომ რომ სწორი საფასო პოლიტიკა ჩამოყალიბდა და ფერმერმა თავისი დანახარჯი უნდა ამოიღოს,“ — ამბობს გიორგი ხანიშვილი.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲜᲐᲠᲛᲐᲜᲘᲐ:

ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲝᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ �გᲐᲖᲘᲡ ᲤᲐᲠᲘᲤᲘ ᲣᲪᲕᲚᲔᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ

„ᲡᲐᲧᲝᲤᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲝ სექტორის, ანუ მოსახლეობისთვის გაზის ტარიფები ერთი წლის წინ დავადგინეთ და სახელმწიფოს მონაწილეობით და შეხიდებით დარჩა უცვლელი. შემდგომი ორი წლის განმავლობაში მოსახლეობისთვის გაზის ტარიფები არ გადაიხედება, ანუ უცვლელი იქნება.

რაც შეეხება კომერციული გაზის ფასის ზრდას, ეს დაანონსებულია იანვრიდან, თუმცა კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ, რომ მარეგულირებელი კომისიის უფლებამოსილებას ეს არ განეკუთვნება. კომერციული გაზი არის დერეგულირებული, რაც ნიშნავს იმას, რომ მარეგულირებელი კომისიის უფლებამოსილება კომერციული გაზის ტარიფის დადგენაზე არ ვრცელდება. მეთოდოლოგიის მიხედვით ჩვენ ვადგენთ მხოლოდ და მხოლოდ საყოფაცხოვრებო სექტორის, ანუ მოსახლეობისთვის გაზის ტარიფებს“, — განაცხადა დავით ნარმანიამ. მისივე თქმით, კომპანია „თბილისი ენერჯი“ გაზრდის თუ არა კომერციული სექტორისთვის გაზის ტარიფს, ეს მათ კომპეტენციაში არ შედის.

ცნობისთვის, თბილისის გაზგამანაწილებელი კომპანია „თბილისი ენერჯის“ სამომხმარებლო ტარიფი 46.137 თეთრია. აღნიშნული ტარიფი 2020-2022 წლებში იმოქმედებს.

ᲡᲐᲕᲐᲚᲣᲢᲝ ᲤᲝᲜᲓᲛᲐ $113,7 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲡ ᲝᲓᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲓᲐᲒᲕᲘᲛᲐᲭᲙᲘᲪᲐ

ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲜᲐᲗᲘᲐ ᲗᲣᲠᲜᲐᲕᲐᲛ განაცხადა. მთავრობის სხდომის შემდეგ გამართულ ბრიფინგზე ეკონომიკის მინისტრმა აღნიშნა, რომ სხდომაზე დადებითი შეფასება მიიღო საქართველოში გატარებულმა რეფორმებმა და პანდემიასთან ბრძოლის ეფექტიანმა სტრატეგიამ.

„აღინიშნა, რომ მომავალი წელი იქნება ეკონომიკური აღდგენის წელი და ჩვენი ეკონომიკა სულ მცირე 4,3%-ით გაიზრდება. შედეგად სავალუტო ფონდმა, გაფართოებული დაფინანსების მექანიზმის ფარგლებში, დაამტკიცა მორიგი დახმარება საქართველოსთვის — 113,7 მილიონი დოლარის ოდენობით. შეგახსენებთ, რომ საქართველო არის დიდი ხნის ტრადიციული და სანდო პარტნიორი სავალუტო ფონდისთვის და სავალუტო ფონდის მხარდაჭერა არის ერთ-ერთი მყარი გარანტი იმისა, რომ ყოველთვის, როცა ჩვენ დაგვჭირდება, დონორთა საზოგადოება დაგვეხმარება ჩვენ, როგორც მოხდა პანდემიის საწყის ეტაპზე“, — განაცხადა თურნავამ.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲡᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲐ

1637 ᲬᲚᲘᲡ 25 Ა�პᲠᲘᲚᲡ, **თეიმურაზის** ელჩს მიტროპოლიტ (!) **ნიკიფორეს** მეფესთან გამოსამშვიდობებელი აუდიენცია ჰქონდა. მეფემ მას თავისი ელჩი, თავადი **თეოდორე ვოლკონსკი** და სხვა თანმხლები პირებიც გააყოლა. მათ შორის იყვნენ: მდივანი, მთარგმნელები, აღმწერები, მეჩიტბადენი; არქიმ. **იოსები**, ორი მღვდელი და ერთი დიაკონი; აგრეთვე, მიტრ. ნიკიფორეს თხოვნით, ამალაში ჩაირიცხნენ ხატმწერები, რომელნიც მათთვის საჭირო ოქროვერცხლით, საღებავებითა და იარაღებით იყვნენ მომარაგებული, და მემინენი, თავიანთი მასალითა და ხელსაწყოებით, ეკლესიების სარკმელთა შესაკეთებლად და შუშების ჩასასმელად. რუს ელჩებს დავალებული ჰქონდათ, რომ საქართველოში შექმნილი სოციალური, პოლიტიკური, რელიგიური და კულტურული მდგომარეობა გულდასმით შეესწავლათ.

მიხეილ თეოდორეს ძე

ალექსი მიხეილის ძე

ოთხი თვის მგზავრობის შემდეგ ელჩები საქართველოში ჩავიდნენ. მთავარ **თეიმურაზთან** აუდიენცია 6 სექტემბერს გაიმართა. მთავარი ელჩებს ხშირად ხვდებოდა და ქვეყნის გასაჭირზე ესაუბრებოდა. იგი განსაკუთრებული გულისტკივილით იხსენებდა თავისი დედის, **ქეთევან** დედოფლის სასტიკ წამებასა და ორი ვაჟიშვილის დასახიჩრებასა და დასაჭურისებას სპარსეთის შაჰის მიერ, რომელმაც ბოლოს უკანასკნელ ნუგეშად დარჩენილი ასულიც გამოგლიჯა და სამივე შვილი თავის კარზე ჰყავდა დატყვევებული. მიუხედავად ყველაფრისა, ქვეყნის გადარჩენისთვის მას სურდა ამ უბედურებათა დავიწყება და თავის ხალხთან ერთად გაზიარება იმ სიხარულისა, რომელიც მეფის წერილებმა მათ განაცდევინა: რუსეთის მეფის პირობა მფარველობისა და მტერთაგან დაცვის შესახებ სპარსთა და ოსმალთაგან გატანჯულ ქართველთა დიდი ხნის ოცნება იყო. თეიმურაზმა მეფის დიდი მოწყალების მოხსენიებისას ქედი მოიდრიკა და სიტყვა განაგრძო: „მე წყვდიადში ვიმყოფებოდი, მაგრამ, მეფის წყალობით, ნათელი ჩემთვის ისევ გამობრწყინდა; მე, ძე ჩემი და მთელი ივერია ვხარობთ, რომ ვიქნებით ქვეშევრდომნი რუსეთის მეფისა“.

ორი კვირის შემდეგ, 21-24 აპრილს, მთავარმა **თეიმურაზმა** და ბატონიშვილმა **დავითმა**, მრჩევლებთან და ქვეყნის ყველა დიდგვაროვან გვამთან ერთად, რუსი ელჩების თანდასწრებით ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ქვეშევრდომობის თაობაზე. შემდეგ თეიმურაზი აქტზე დადებულ ჯვარს ემთხვია და, როგორც თვითონ თქვა, ამ მოქმედებით მან ფიცი დადო მეფე **მიხეილ თეოდორეს ძისა** და უფლისწულ **ალექსი მიხეილის ძის** მიმართ, რომ იგი თავის ოჯახთან და მთელ ივერიასთან ერთად საუკუნოდ იქნება ხელქვეითი მეფისა, რომელმაც, თავის მხრივ, ისინი თავისი მაღალი მფარველობით მტერთაგან უნდა დაიცვას და საჭიროების შემთხვევაში ყოველთვის დახმარება აღმოუჩინოს.

1639 წლის 28 აპრილს, რუსი ელჩები გამცილებლებთან ერთად საქართველოდან გაემგზავრნენ და თან წაიღეს მადლიერებით სავსე წერილები, რომელსაც ქართლის მეფე (!) რუსეთის ხელმწიფისადმი გამოხატავდა. თეიმურაზს ასევე ჰქონდა თხოვნა ჯარისკაცთა ჯამაგირისთვის თანხის გამოსაყოფად, რომელიც მეფე **მიხეილმა**, 1641 წელს, მიტრ. **ნიკიფორეს** რუსეთში მეორედ ჩასვლის დროს დააკმაყოფილა და 20.000 ტალერი (ефимок*) გაუგზავნა. გარდა ამისა, საჩუქრად თეიმურაზის ოჯახის წევრებისა და დიდებულებისთვის ელჩს 2.200 რუბლის ღირებულების სიასამურის ბეწვეული გაატანეს.

1642 წლის აგვისტოს დამდეგს, რუსი ელჩები, თავადი **მიშეცკი** და მდივანი **ივანე კლიუჩარევი**, ბევრი ხიფათის შემთხვევის შემდეგ, საქართველოში ჩამოვიდნენ. ელჩებმა მეფე **თეიმურაზისგან** მოისმინეს, რომ საქართველოს საზღვრებში ლეკებისა და ყუმუხების უეცარ შემოჭრებს საშინელი შედეგები მოსდევს. მეფე ფიქრობდა, რომ მისადმი რუსი ხელმწიფის კეთილგანწყობამ ბევრ მეზობელს შური აღუძრა და მისი ქვეყნის ძირფესვიანად განადგურება გადააწყვეტინა; ხოლო თუ კავკასიელი მთიელებისა და სპარსეთის შაჰის მხარეზე დარჩებოდა გამარჯვება, მაშინ იგი თავის სამშობლოში თავშესაფარს ვერ ჰპოვებდა და იძულებული შეიქნებოდა, მოსკოვში დიდ ხელმწიფესთან წასულიყო.

ელჩებმა თავიანთი თვალით იხილეს შაჰისა და მთიელთა თარეშის კვალი: დარბეული და გაძარცული წმიდა ტაძრები, გავერანებული და ნანგრევებად ქცეული უზარმაზარი სეფედარბაზები. საქართველოში ქალაქები აღარ არსებობდა, მათ ადგილებზე დაქცეულ შენობათაგან წარმოქმნილი ზვინებიღა იყო დარჩენილი. დაწვრილებით ამ სავალალო მდგომარეობის შესახებ თავადი **მიშეცკის** ელჩობის დროინდელ ოქმებში არის აღწერილი.

* * *

1638 ᲬᲔᲚᲡ, ერისთავმა **ლევან** (Леонтий) დადიანმა, პირველად ისტორიაში, რუსეთში თავისი ელჩი მღვდელი **გაბრიელი** გააგზავნა. მოსკოვში საელჩოს მდივნებს გაბრიელი უყვებოდა, რომ მისი ქვეყანა საქართველოში გამეფებული მართლმადიდებლობის აღმსარებელია, ეკლესია-მონასტრები ბევრი აქვთ, უმაღლეს სასულიერო იერარქად აღიარებენ პატრიარქ **მალაქიას**, რომელსაც რეზიდენცია ბიჭვინთის მიძინების მონასტერში აქვს. ლევანის მამის ერისთავობის დროს, მისი ქვეყანა თურქეთის ოლქს წარმოადგენდა და სულთანს ხარკს უხდიდა, ლევანი კი უკვე 20 წელიწადია, თავის სახელმწიფოს დამოუკიდებლად მართავს და ხარკსაც არავის უხდის. ერთი სიტყვით, სამეგრელოს ელჩმა თავისი ქვეყნის სამხედრო, სამეურნეო და სავაჭრო მდგომარეობა, რამდენადაც შეეძლო, სრულყოფილად აღწერა.

მიუხედავად იმისა, რომ მღვდელი გაბრიელის ნაამბობში ქვეყნის წინაშე არსებული რაიმე საფრთხის შესახებ მინიშნებაც არ არის, ლევან დადიანი მეფისადმი მიწერილი ეპისტოლით თხოულობდა, რომ იგი რუსეთის მეფეს მისი მტკიცე ხელის მფარველობის ქვეშ მიეღო და პირობას დებდა, რომ სარწმუნოებითა და სიმართლით ემსახურებოდა მას.

1639 წლის მაისის თვეში, მღვდელ **გაბრიელს** უკან დაბრუნებისას თან გამოჰყვნენ მოენე **თეოდოტე ელჩინი** და მღვდელი **პავლე**, რომელთაც განკარგულება ჰქონდათ მიცემული, ყურადღებით გაცნობოდნენ სამეგრელოს საეკლესიო საქმეს და შეეკრიბათ ცნობები სადადიანოს მმართველობის, ძალისა და სამფლობელოს შესახებ.

1640 წლის 4 დეკემბერს, რუსი ელჩები მოსკოვში დაბრუნდნენ.

* * *

1649-ᲨᲘ, რომანოვთა დინასტიიდან მეორე მეფის **ალექსი მიხეილის ძის** ტახტზე ასვლის მეორე წელს, მოსკოვში მეფე **თეიმურაზისგან** წარგზავნილმა ელჩმა რუსეთის მეფესთან ჩაიტანა ეპისტოლე, რომელიც შეიცავდა თეიმურაზის ფიცს რუსეთისადმი ქვეშევრდომობაზე, როგორც მაშინდელი, ისე წინანდელი მეფის მიმართ; სასოებას, რომ იგი დიდი მფარველის მიერ ურჯულოთაგან იქნებოდა დაცული; დაპირებას, რომ მოსკოვში სამეფო სამსახურისთვის თავის შვილიშვილს, ბატონიშვილ **გიორგის** გაგზავნიდა; თხოვნას, რომ მისი მეორე შვილიშვილი **იოსები** ღირსი გამხდარიყო რუსეთის ხელმწიფის დის ხელისა; და შეხსენებას, რომ საქართველოს სიწმიდეთა ხელახლა განხილვისთვის სასულიერო პირთაგან ვინმეს გამოგზავნა იყო აუცილებელი. ქართველი ელჩის სიტყვით, თეიმურაზს ოთხი მცირეწლოვანი შვილიშვილი ჰყავდა: ლუარსაბი, გიორგი, იოსები და ნიკოლოზი. ქართველი მეფე ასევე ითხოვდა, რომ მისი ეჩლი სპარსეთის შაჰის მსტოვრებისგან დაეცვათ, რისთვისაც რუსეთის სამეფო კარმა ზომები მიიღო და შაჰთან შიკრიკი გაგზავნა.

იმერეთის მეფე ალექსანდრე

1652 წლის 12 ნოემბერს, რუსეთის მეფესთან იმერეთის მეფე **ალექსანდრეს** ელჩთა აუდიენცია შედგა, რომელზეც მას ეპისტოლე გადასცეს; ხოლო უკვე მომდევნო წლის მაისში ალექსანდრემ მიიღო პასუხი, რომლითაც მეფე **ალექსი** მას მტერთაგან დაცვას ჰპირდებოდა; იმერეთის მეფეს კი რუსეთისადმი ერთგულება წმინდად უნდა დაეცვა; ხოლო ფიცის ეპისტოლეს, ალექსანდრესა და მისი სახელმწიფოს მიერ რუსეთის ქვეშევრდომობის მიღების თაობაზე, ალექსის წყალობის სიგელი ჰქონდა დართული.

დავით ბატონიშვილი

1653 წლის 27 დეკემბერს, მოსკოვში **თეიმურაზის** შვილიშვილი, ბატონიშვილი **ნიკოლოზი** ჩავიდა თავის დედასთან, ლევანის ასულ **ელენესთან** ერთად; მათი თანმხლები პირები, თავადი **ქაიხოსრო აბრამოვი** და არქიმ. **გერმანე** მეორე წელსვე საქართველოში დაბრუნდნენ რუს ელჩებთან, **დიმიტრი გორიხვასტოვსა** და **გლებ პატრიკიევთან** ერთად, რომელნიც ქართლისა და კახეთის მეფეებთან იყვნენ წარმოგზავნილნი, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი გზაზე დაიღუპნენ. ამიტომ მომდევნო წელსვე, 1655-ში ახალი ელჩობა შედგა; **ვასილი ჟიდოვინოვმა** და მდივანმა **თეოდორე პოროშინმა** მეფე **თეიმურაზს** 6000 ეფიმოკი და ბევრი სიასამურის ბეწვი ჩაუტანეს; ხოლო ჯარისა და საზარბაზნე ყუმბარების გამოგზავნის თაობაზე, რუსი ხელმწიფე ქართველ მეფეს სწერდა, რომ პოლონეთთან ომის გამო ამ თხოვნის დაკმაყოფილებას ჯერჯერობით ვერ შეძლებდა, მაგრამ ლაშქრობიდან ჯარის დაბრუნების შემდეგ **თეიმურაზს** დახმარების გარეშე არ დატოვებდა.

მალე ელჩები ქართლიდან იმერეთში გადავიდნენ და მეფე **ალექსანდრეს** წარუდგნენ. მეფემ სტუმრები თბილად მიიღო და მათ საპატივცემულოდ იმ დღესვე სადილი გამართა, რომელზეც რუსეთის ხელმწიფის სადღეგრძელო საყვირებისა და დაფდაფების ხმათა თანხლებით შეისვა.

მოენე **ილია სტოიანოვი**, რომელიც ელჩებზე ადრე დაბრუნდა მოსკოვში, ყვებოდა, რომ ერისთავმა **ლევან** დადიანმა **თეიმურაზს** შერიგებისა და რუსეთის ქვეშევრდომობის მიღების თაობაზე დესპანები არაერთხელ გაუგზავნა, მაგრამ ქართლის მეფე მასთან ზუგდიდში შეხვედრას მხოლოდ კათოლიკოსის შუამდგომლობის შემდეგ დათანხმდა. თუმცა, ლევანის უსაზღვრო მოთხოვნების დაკმაყოფილება შეუძლებელი აღმოჩნდა და ვიზიტს არავითარი წარმატება არ მოჰყოლია. პირიქით, მოენის აზრით, ერისთავი ურჯულოთა მფარველობისა და მართლმადიდებელთა აკლების გამო სასჯელს იმსახურებდა; იგი არა მარტო თეიმურაზს, არამედ საერთოდ ქრისტიანებს, შაჰის დახმარებით იკლებს, თორემ მასთან გასწორებას იმერეთის მეფე **ალექსანდრე** და ქართლის მეფე **თეიმურაზი** გაერთიანებული ძალებით შეძლებდნენო.

რუსი ელჩების დაბრუნებამდე ცოტა ხნით ადრე, მოსკოვში **თეიმურაზის** შიკრიკი **ივანე ჩაშნიკი** ჩავიდა. ქართველი მეფე ჰმადლობდა რუს ხელმწიფეს შაჰის წინაშე შუამდგომლობისთვის, რათა მას კახეთი პირვანდელი მფლობელისთვის დაებრუნებინა; ასევე იგი აცნობებდა მეფე **ალექსი მიხეილის ძეს**, რომ შაჰისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა მისი სამი შვილის მიტაცება და ახლა შვილიშვილის, ბატონიშვილ **დავითის** ასულის გაგზავნასაც ითხოვს; ხოლო ბატონიშვილ **ნიკოლოზისა** და მისი დედის მგზავრობის დროს, მათი გამცილებელი ქართველი ელჩი, თავადი **ივანე** ყუმიხებმა მოკლეს, მისი დატყვევებული ცოლ-შვილი კი, ნაძარცვ ნივთებთან ერთად, შაჰს გაუგზავნეს; დაბოლოს, თეიმურაზი რუს მეფეს არწმუნებდა, რომ აუცილებელი იყო დაპყრობა მთიელი ხალხისა, რომელნიც სპარსელებთან შეთანხმებით მოქმედებდნენ.

1656 წელს, ქართველი ელჩის მიერ რუსი ხელმწიფისთვის მირთმეულ სიგელში ეწერა, რომ მეფე **თეიმურაზი** ფრიად კმაყოფილი იყო იმ ცნობით, რომ რუსეთის ხელმწიფემ ბატონიშვილი **დავითის** ვაჟიშვილი პოლონეთის წინააღმდეგ წარმოებულ ლაშქრობაში წაიყვანა; ხოლო თვით წუხდა იმაზე, რომ უკვე რვა წელიწადია, რაც განდევნილია თავისი სახელმწიფოდან, ახლა კი შაჰი იმერეთის მეფის სამფლობელოდან განდევნასაც უპირებს, ამიტომ თეიმურაზი ითხოვდა დახმარებას, რომ დროებით რუსეთში გადასულიყო და ხელსაყრელ ვითარებას იქ დალოდებოდა.

1657 წელს, რუსეთში თუშეთიდან ელჩები ჩავიდნენ, მაგრამ მათ თხოვნას ქვეშევრდომობის მიღებაზე არავითარი შედეგი არ მოჰყოლია; ხოლო მომდევნო, 1658 წელს, მოსკოვში მეფე **თეიმურაზთან** ერთად ჩასულმა თუშებმა ქვეშევრდომობა მიიღეს და დასაჩუქრებულნიც გამოემგზავრნენ.

იმავე 1657 წელს, იმერეთის მეფე **ალექსანდრე** თავისი ელჩის **ლუკინის** ხელით გაგზავნილი წერილით რუსეთის მეფეს განცდილ სიხარულს უზიარებდა, რომელიც რუსული იარაღით მოპოვებული გამარჯვებების გამო რუსეთის მტერთა შორის აღძრული დიდი შიშით იყო გამოწვეული. ალექსანდრე შუამდგომლობდა დედოფალ **ელენესა** და მისი ძისთვის, და იმედოვნებდა, რომ ისინი ხელმწიფის კეთილგანწყობას დაიმსახურებდნენ. ქართველი მეფე ასევე აღნიშნავდა, რომ მისი და **თეიმურაზის** ურჯულო მტერთა რიცხვი ერისთავი დადიანის სახით კიდევ უფრო გაიზარდა; იგი ურჯულოთა სარწმუნოებით იყო მოხიბლული და ქრისტიანისთვის შეუფერებელ სიცოფეს ავლენდა.

* *მსხვილი ვერცხლის ფული. ამჟამად ერთი ასეთი მონეტის ნომინალური ღირებულება 2000 დოლარზე მეტია.*

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ. ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲘᲮ. №178-181

* * *

როგორც აღვნიშნეთ, 1658 წელს, ხელმწიფესთან მეფე **თეიმურაზის** აუდიენცია შედგა. იგი ამბობდა, რომ რუსეთის ქვეშევრდომობის მიღების შემდეგ **შაჰ-აბასმა** მთლად აიკლო საქართველო. ქვეყნის გადასარჩენად მან სპარსეთში დედა და ორი ვაჟი გაგზავნა, მაგრამ შაჰმა მათ ტანჯვა და წამება შეამთხვია. **ქეთევან** დედოფლის წმიდა ნაწილები თეიმურაზს საიდუმლოდ ჩამოუტანეს. მტრებისა და მოღალატეებისგან ქვეყნის გასაწმენდად იგი 30.000-კაციან ჯარს ითხოვდა, მაგრამ ისევ პოლონეთთან ომის გამო ქართველი მეფე უარით გამოისტუმრეს. იდგა სექტემბერი 1659 წლისა. მას მხოლოდ 6000 რუბლი და სიასამურის 3000 რუბლის ღირებულების გეწვეული გამოუყვეს.

იმავე 1659 წელს, იმერეთის მეფე **ალექსანდრემ** ხელმწიფეს შეატყობინა ერისთავი **ლევან** დადიანის გარდაცვალებისა და მისი ვაჟიშვილის დატყვევების შესახებ; აგრეთვე, თხოვნა დადიანთა საერისთავოსთვის რუსეთის ქვეშევრდომობის მინიჭების თაობაზე.

აღნიშნულ 1659 წელსვე, მეფე **თეიმურაზმა** რუსეთის ხელმწიფეს აცნობა სამწუხარო ამბავი თავისი შვილიშვილის გარდაცვალების შესახებ, რომელიც ევროპის სამეფო ტახტის მემკვიდრედ ეგულებოდა, და მისი და დედოფლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მონაზვნად აღკვეცის თაობაზე, რათა თავიანთი სიცოცხლის ბოლო დღეები მონასტრულ სიმყუდროვეში და საკუთარ ცოდვათა დატირებაში გაეტარებინათ. ამიტომ ქართველი მეფე თხოვდა ხელმწიფეს, რომ რუსეთის სამეფო კარზე მყოფი ბატონიშვილი **ნიკოლოზი** საქართველოში გამოეგზავნა და მისთვის ტახტზე ასვლის ნება დაერთო, რადგან თავისი გვარიდან სხვა მემკვიდრე აღარავინ ჰყავდა. ამის თაობაზე რუსეთის ხელმწიფეს საშუამდგომლო წერილით მიმართა მეფე **ალექსანდრემაც** და თან აცნობა, რომ **თეიმურაზის** რუსეთში ვიზიტის დროს, ხუთი ფაშის წინამძღოლობით იმერეთს მოადგა თურქ-სპარსელთა მრავალრიცხოვანი ჯარი, მაგრამ ყველა ნაწილი განადგურებულია, ფაშები და მტრის ბევრი მებრძოლი დატყვევებულია და იმერეთის მიწა ურჯულოთაგან სრულიად გაწმენდილიაო.

ხელმწიფემ ქართველ მეფეთა სამართლიანი თხოვნა დააკმაყოფილა და 1660 წლის 3 ივნისს, უსაფრთხოების ყველა ზომის მიღების შემდეგ, ბატონიშვილი და მისი დედა **ელენე** სამშობლოში გამოამგზავრა. ამალაში ქართველ და რუს ელჩებთან ერთად შედიოდა ბოქაული **დიმიტრი დოლინსკი**, რომელსაც მგზავრების მიცილება ევალებოდა თვით საქართველოს საზღვრამდე. ხელმწიფე განსაკუთრებულ კეთილგანწყობას გამოხატავდა იმერეთის მეფის მიმართ, რომელმაც, თეიმურაზის არყოფნის მიუხედავად, იმერეთში შეჭრილ თურქებსა და სპარსელებს მუსრი გაავლო.

ბატონიშვილ **ნიკოლოზთან** ერთად მყოფი რუსი ელჩები ხელმწიფეს ასტრახანიდან წერილით მოახსენებდნენ, რომ იმერეთის მეფე **ალექსანდრე** მოულოდნელად გარდაიცვალა; რომ ქვრივი დედოფლის ბრძანებით მის გერს, ბატონიშვილ **ბაგრატს** თვალები ამოშანთეს, თვითონ კი სხვაზე გათხოვდა; რომ ეს დედაკაცი თავის ქმართან ერთად, ისევე როგორც ბედკრული ბაგრატი, დადიანთა ქვეყანაში გადაასახლეს; რომ შაჰმა **თეიმურაზი** სპარსეთში წაიყვანა და ქართლი, კახეთი და იმერეთის მესამედი დაიპყრო, ხოლო დანარჩენი ორი მესამედი ერისთავ **ლიპარიტ** დადიანის ხელში გადავიდა; რომ მთელ იმერეთში საშინელი შინაბრძოლები წარმოიქმნა; ამიტომ ისინი ხელმწიფის შემდგომ ბრძანებას ასტრახანში დაელოდებოდნენ.

დაახლოებით ორი თვის შემდეგ, ელჩებმა ბრძანება მიიღეს, რომ ბატონიშვილთან და დედოფალთან ერთად მოსკოვში დაბრუნებულიყვნენ. მათ გზაში თუშებიც შეუერთდნენ, რომელთაც მიტროპოლიტი **ეპიფანე** წინამძღოლობდა. თუშებს რუსეთის ქვეშევრდომობაზე უკვე ფიცი ჰქონდათ დადებული და ახლა შაჰისაგან თავის დასაცავად და დახმარების მისაღებად ხელმწიფესთან მიემართებოდნენ. ბოლოს და ბოლოს, ექვსწლიანი მგზავრობის შემდეგ, 1666 წელს ბატონიშვილი და დედოფალი ამალასთან ერთად მოსკოვში დაბრუნდნენ.

ბერდიაკონი გიორგი (რუხაძე).

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)



ანუ ობლის კვერი ცხვა, ცხვა, მაგრამ...

საერთაშორისო ორგანიზაციების და უცხოელი დამკვირვებლების მიერ საქართველოში 2020 წელს ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები შეფასებულ იქნა, როგორც კონკურენტუნარიანი, მაგრამ მნიშვნელოვანი დარღვევებით. „ქართული ოცნებისთვის“ ეს შეფასება რებუსული, შარადული გამოდგა და თავისებურად გაიგეს, — ჰგონიათ, რომ კონკურენტუნარიანობა სამართლიანობას ნიშნავს და არჩევნები მცირეოდენი ხარვეზებით სამართლიანად ჩატარდა. ოპოზიციურ პარტიებს კი მიაჩნიათ, რომ სიტყვა მნიშვნელოვანი — ანგარიშგასაწევს, დიდს ნიშნავს. დიდი დარღვევები კი — არასამართლიან, გაყალბებულ არჩევნებს. კონკურენტუნარიანობა — მეტოქეობას, შეჯიბრს ნიშნავს. რა არის აქ სადავო! თუ სადავოა — სადავო ბურთი ხელმეორედ შეჰყავთ თამაშში!

არჩევნების უცხოელ დამკვირვებლებს და საელჩოებს უფრო მარტივად რომ ეთქვათ, ის რაც მათ გაახმიანეს, დღეს საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ასეთი ვითარება და კრიზისი არ იქნებოდა. თვითონვე შექმნეს თავისთავის სატეხი და ვითარების განსამუხტავად მხარეებთან მოლაპარაკებების გამართვა დაიწყეს. შედგა მოლაპარაკებების ოთხი რაუნდი, რომელმაც ნაყოფი ვერ გამოიღო — ობლის კვერი ვერ გამოცხვა! დანიშნული მეხუთე რაუნდი გადაიდო. „გადადებული საქმე ეშმაკისააო“.

არჩევნების მეორე ტურის ჩატარების შემდეგ არარსებულ მოწინააღმდეგეებთან მსაჯების მიერ გამარჯვებულად გამოცხადებულმა მაჟორიტარებმა გვახარეს, რომ ხმა მისცეს მრავალპარტიულ პარლამენტს, ქვეყნის წინსვლას და განვითარებას. მრავალპარტიული პარლამენტი, რომლის ერთ-ერთი პარტია უმრავლესობაშია — გინდა იყოს და გინდ არა, სულ ერთია. წინსვლას სათანადოდ საჭირო ნაბიჯების გადადგმა უნდა და არა სადგისით საჯდომზე თანამიმდევრული ჩხვლეტით გაკეთებული ნაბიჯები.

ოპოზიციური პარტიების და სხვათა ეჭვების და ბრალდებების გასაქარწყლებლად, — არა პირდაპირ რუსეთიდან, არამედ საფრანგეთის გავლით საქართველოში შემოგზავნილ პუტინის არაკოდირებულ, პირად აგენტად მონათლულ ბატონ ბიძინა ივანიშვილს საპარლამენტო არჩევნებამდე სამი დღით ადრე ამომრჩევლებთან შეხვედრისას არ დაუმალავს და საქვეყნოდ, ყველასთვის გასაგონად განაცხადა: ჩვენ არ დავუშვებთ, გაერთიანებული ოპოზიციის „ძალა ერთობაშია“ ხელისუფლებაში მოვიდესო!

„ქართულ ოცნებაში“ მამა-მარჩენალის აღთქმა ისმინეს, უმალ აიტაცეს — არჩევნებამდე ოპოზიციურ პარტიებს გამუდმებული თავდასხმებით გამგელებული ჭამდნენ, — ზორბა ტყუილებს აბრალებდნენ. ტყუილის თქმას ჭკუა უნდა, — „ისეთი ტყუილი უნდა თქვა, ფეხები ჰქონდეს, დადგომაც შეეძლოს და გაქცევაცო“.

არჩევნების დღეს კი, ცესკოს მეთაურობით, მთელი ძალით აამოქმედეს ადმინისტრაციული რესურსი. შედეგმაც არ დააყოვნა — მკვდრეთით აღმდგარი მიცვალებულების ხმების ხარჯზე ბიულეტენებში არსებული ამომრჩევლების ხმებს ბევრად გადააჭარბა და „ოცნება“ პარლამენტში უმრავლესობით შევიდა.

ოპოზიციურმა პარტიებმა დიდი დარღვევები გამოავლინეს და არჩევნები არალეგიტიმურად გამოაცხადეს, პარლამენტში შესვლაზე უარი თქვეს.

ბოიკოტირებულ პარლამენტში ობლად დარჩენილი „ქართული ოცნება“ „სამ იგრაეტ, სამ ტანცუეტ“, — თვითონ უკვეთავს მუსიკას, თვითონ უკრავს, თვითონ ცეკვავს! აბა რა, ოპოზიციის დაკრულ დუდუკზე ხომ არ იცეკვებდა!

„ქართული ოცნების“ მიერ არჩეული გზა მიიყვანს ქვეყანას და ხალხს სასურველ მდგომარეობამდე?! გზის ერთ მხარეს არის „ქართული ოცნება“, მეორე მხარეს — ამ გზის მოწინააღმდეგეები — საქართველოში არსებული დანარჩენი 50-მდე პარტია, რომლებიც ითხოვენ ვადამდელ არჩევნებს ცესკოს გაახლებით.

ოპოზიციის თქმით, „ქართულმა ოცნებამ“ თავის დრო მოჭამა. დაფიქრდნენ „ქართულ ოცნებაში“. „ჩათრევას ჩაყოლა სჯობსო“. „უსამართლო ძლიერებას საუკუნო არ აქვს ძალი! უძლეველი საბოლოოდ არის მხოლოდ სამართალი!

ოთარ შონია,
92 წლის,
არქიტექტორი.
ტელ: 2-39-05-92

P.S.

ოპოზიციურ პარტიამი გაჩნდა ეჭვი, რომ ხელისუფლება და ბანკის დამყაჩაღებელი ესებუა ერთპიროვნულად — შეთანხმებულად მოქმედებდნენ. საფუძველი — ჯერ გაუშვა პოლიციამ მელა, მერე იწყო ფსტვენა!

რატომ არ უნდა ხელისუფლებას, რატომ არ უნდათ ოპოზიციურ პარტიებს, კონსტიტუციონალისტებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომ საუბნო ხმის დამთვლელ კომისიებში შეყვანილ იქნან უცხოელი დამკვირვებლები, ხოლო კონსტიტუციაში ჩაიწეროს, რომ ყოველი ხელისუფლება ვალდებულია, შეამოწმოს წინამორბედის მიერ ჩატარებული არჩევნების სისწორე და შედეგი. ბიულეტენების გაყალბების შემთხვევაში დამნაშავეებს პასუხი აგებინონ. ამით თავიდან ავიცილებთ არჩევნებში ბიულეტენების ტოტალურ — მასობრივ გაყალბებას.

საყურადღებოა მათი აზრი ამ წინადადებაზე. იმედია, გაგვიზიარებენ.

რედაქციისგან:

ჩვენი გაზეთის ერთგული მკითხველი უთუოდ იცნობს ამ წერილის ავტორის სახელ-გვარს. იგი დროდადრო იბეჭდება ჩვენი გაზეთის ფურცლებზე. რასაკვირველია, მისასალმებელია, რომ ამ ხნის ადამიანს კიდევ შეუძლია კალამთან მეგობრობა, მაგრამ დასანანია, რომ სინამდვილის სწორად აღქმასთან მწყრალად არის და ჩვეულ მეზღაპრეობას ეწევა. ბატონი ოთარი, როგორც თავად ამბობს, ეგრეთ წოდებული „მთავარი არხის“, ანუ გვარამიას კანალიზაციის მაყურებელია, ამიტომ გასაკვირი არ არის, რა მცდარ პოზიციაზეც დგას. 92 წლისას კი არა, ბევრად, ძალიან ბევრად ახალგაზრდა ტელემაყურებელს უბნევს ეს ვაიარხი თავგზას. მკითხველი უცილოდ შეატყობდა, როგორ ერთი-ერთში ემთხვევა წერილის ავტორის და „მთავარის“ სინამდვილეს აცდენილი აზრები. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ „მთავარი“ (მტარვალი) განზრახ, მიზანმიმართულად ეწევა ანტიეროვნულ, ანტისახელმწიფოებრივ პროპაგანდას, ჩვენს მოხუც ავტორს კი გულწრფელად სჯერა (როგორც ამ პროპაგანდის მსხვერპლს, რომ სიმართლეს უჭერს მხარს.

ჩვენი ამჟამინდელი ქართული დემოკრატიის ხარისხი, პრესის აბსოლუტური თავისუფლება, უფლებას გვაძლევს, რომ საღ აზრთან ერთად საწინააღმდეგო აზრსაც დავუთმოთ ადგილი. პირუთვნელი მკითხველი თავად გაარკვევს, სად არის სიმართლე და სად მამალი ტყუილი, რაც ერთადერთ იარაღად შერჩა ხავსჩაკიდებულ წყალწაღებულ ოპოზიციას.

ქართველი მშვიდობისმყოფელები ავღანეთიდან საშშ-ში დაბრუნდნენ

საქართველოს თავდაცვის ძალების პირველი ქვეითი ბრიგადის ნაკრებმა ასეულმა „მტკიცე მხარდაჭერის“ მისია დაასრულა. თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით ქვედანაყოფის ასეული მაიორ ანტონ ქუთათელაძის მეთაურობით ავღანეთიდან საქართველოში გუშინ დაბრუნდა.

მათივე ცნობით, ქართველ მშვიდობისმყოფელებს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილე, გენერალური შტაბის უფროსი, ბრიგადის გენერალი ჯონი ტატუნაშვილი და აღმოსავლეთის სარდალი, პოლკოვნიკი როლანდ ძნელაძე დახვდნენ. მათ მშვიდობისმყოფელებს მისიის წარმატებით განხორციელებისთვის მადლობა გადაუხადეს და სამშობლოში მშვიდობით დაბრუნება მიულოცეს. ნაკრები ასეული ნატოს ეგიდით ავღანეთში მიმდინარე სამშვიდობო მისიაში (RSM) ექვსი თვის განმავლობაში მონაწილეობდა. ასეული ქალაქ ქაბულში ბაზის უსაფრთხოებისა და ძალთა დაცვის ამოცანებს აშშ-ის სარდლობის დაქვემდებარებაში ასრულებდა.

ბურთი ქართულ-დასავლურ მოედანზეა...

ვიქტორ ყიფიანი: მეტი გამბედაობის დრო დადგა, რომელიც გამოცდილების შესწავლაზე იქნება დაფუძნებული და ეს გამოცდილებები მსოფლიოში არსებობს

საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა 11 დეკემბერს, მე-10 მოწვევის პარლამენტის პირველ სხდომაზე ევროპასა და NATO-სთან მიმართებაში ახალი მიდგომების შემუშავების აუცილებლობაზე ისაუბრა, აღნიშნა, რომ „მოლოდინის დრო აღარაა. აქტიურობის, ახალი ნაბიჯების მოფიქრების და გადადგმის დრო მოვიდა“ და რომ ვითარება ოფიციალური თბილისის მხრიდან აქტიურობას, მეტ მოქნილობას და მომავლის ხედვას მოითხოვს.

რას შეიძლება, მოიაზრებდეს ინიციატივები, რითაც საქართველო დასავლელ პარტნიორებს დააინტერესებს და გაზრდის როგორც ქვეყნის მნიშვნელობას, ისე მის უსაფრთხოებას, მით უფრო რეგიონში მიმდინარე ცვლილებების ფონზე, — ამ და სხვა საკითხებზე „აქცენტი“ ანალიტიკური ორგანიზაცია „ჯეოქეისის“ თავმჯდომარეს ვიქტორ ყიფიანს ესაუბრა.

ვიქტორ ყიფიანი: NATO-ს აღმოსავლეთით გაფართოების მოლოდინი დიდი ხანია, გვაქვს. მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა, ყოველთვის მაქვს განცდა, რომ ეს ცოტა დაგვიანებული, ან არასაკმარისია. ვფიქრობ, პრეზიდენტის მოწოდებაა, ვიფიქროთ რიგი კლიშეების მიღმა არსებულ ვარიანტებზე.

NATO არის კოლექტიური უსაფრთხოების სისტემა, რომელიც აერთიანებს წევრ ქვეყნებს, მაგრამ მსოფლიოში არსებული კოლექტიური უსაფრთხოების სისტემები თანაბრად გვკარნახობენ სისტემების გეოგრაფიულ-თემატურ პრინციპებზე აგებასაც. უნდა გავიხსენოთ NATO-ს ანგარიში „2030“ — იქ, სადაც საუბარია, ზოგადად, NATO-ს პარტნიორობაზე არაწევრ, მაგრამ ალიანსის პარტნიორ ქვეყნებთან. მართალია, ანგარიში საინტერესოსთან ერთად არაერთ ბუნდოვან განცხადებასაც მოიცავს, ფაქტია, რომ NATO-ს მოწოდებაა, ასევე ვითანამშრომლოთ გეოგრაფიული და თემატური ნიშნითაც. მე მაინც მიმაჩნია, რომ საქართველოსთან მიმართებაში გაკეთებული განცხადებები ოდნავ უკმარისობის განცდას ტოვებს — უდავოდ მეტი კონკრეტიკაა საჭირო. თუმცა, აქ ორი ფაქტორი უნდა გავითვალისწინოთ: NATO თავადაა შიდა სამზარეულოს დალაგების პროცესში. ამდენად, ე.წ. „პრობლემურ გეოგრაფიებზე“ მეტი კონკრეტიკა ამ მომენტისთვის ნაადრევი იქნებოდა (მომავალ წელს ალბათ, მეტ კონკრეტიკას მოვისმენთ). საგულისხმოა ისიც, რომ სწორედ რომ ასეთი „ბუნდოვანება“ მანევრის საშუალებასაც ტოვებს, — და პრეზიდენტის განცხადებას რომ დავუბრუნდეთ, — შესაძლებელია, შავი ზღვის ფაქტორის გამოყენება სწორედ გეოგრაფიულ-თემატური თანამშრომლობისკენ მოწოდება იყოს. მაგალითად, NATO-ს აღმოსავლეთ ფლანგის ჩრდილო და სამხრეთ დაბოლოებებს შორის გარკვეული ასიმეტრიაა — **ჩრდილოეთი გაცილებით გაძლიერებულია, სამხრეთი კი მასშტაბით და ხარისხით გაცილებით მოისუსტებს. არ გამოვრიცხავ, რომ არც თუ შორეულ პერსპექტივაში, თუ NATO-ში იქნება გააზრება, რომ შავი ზღვა აღმოსავლეთ ევროპასა და ახლო აღმოსავლეთს შორის უსაფრთხოების ერთგვარი „ჩამკეტია“, შესაძლოა, ეს კონფიგურაცია ჩვენთვის უფრო ხელსაყრელი იყოს!**

დამატებითი გარემოებაა მთიან ყარაბაღთან დაკავშირებით 10 ნოემბრის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება, რამაც რეგიონში აბსოლუტურად სხვა მოცემულობა მოგვცა და თუ აშშ-ს სურს, რეგიონში უფრო მეტად ხელშესახებად იყვნენ წარმოდგენილნი, საქართველო (მიუხედავად პოლიტიკურ-ეკონომიკურ-სოციალური გამოწვევისა) ამის საშუალებას იძლევა.

კიდევ ერთი მოსაზრება, რაც ე.წ. მინი ალიანსებს უკავშირდება და რისი ანალოგები არსებობს (მათ შორის, წყნარ ოკეანეში ჩინეთის შესაკავებლად). არ არის გამორიცხული, შავ ზღვაში მსგავსი ალიანსის შექმნაზე ვიფიქროთ. რამდენადაც ვიცი, შავ ზღვის იმ ნაწილში, რომელიც მე „ჩამკეტად“ ვახსენე, NATO-ს ინფრასტრუქტურა ჯერ კიდევ საჭირო ნიშნულამდე განვითარებას და შევსებას საჭიროებს. ამდენად, მიდგომებში მოქნილობა, იმპროვიზაცია, არასტანდარტულობა, არასტერეოტიპულობა შესაძლებელია. სწორედ ასე წარმომიდგენია ჩვენი და ჩვენი დასავლელი პარტნიორების თანამშრომლობის სრულყოფა, მათ შორის სამხედრო და უსაფრთხოების სფეროში. **პრეზიდენტის განცხადებაშიც სწორედ ეს მოწოდება ამოვიკითხე; თანაც, არა ქართული სპეციფიკისადმი, არამედ ჩვენი დასავლელი პარტნიორებისადმი. პრაქტიკულად, რეგიონში მოვლენები იმაზე სწრაფად ვითარდება, ვიდრე ჩვენ მათზე რეაგირებას ვასწრებთ.**

— მაგრამ მსგავს მიდგომებს სითამამეც სჭირდება...

— ბუნებრივია. საჭიროა, მათ შორს აზროვნებაში გადახალისება, გარკვეული გადახალისება პოლიტიკურ და საქმიან წრეებში. მგონია, რომ ჩვენს მიდგომებში ხშირად მოძველებული სტანდარტებით ვოპერირებთ: ის, რაც უსაფრთხოების სისტემებში ორი წლის წინ იყო საინტერესო, დღეს შესაძლოა, უკვე მოძველებულად მიიჩნეოდეს. ვისურვებდი, რომ ჩვენ კი არ ველოდოთ მოკავშირეებს, არამედ მათთან თავად მიგვქონდეს წინადადებები: ვსმჯელობდეთ ე.წ. მინი „ჩრდილოატლანტიკურ“ ალიანსებზე, ან თუნდაც ორმხრივი თავდაცვითი შეთანხმების იდეაზე (სამხრეთ კორეის, იაპონიისა ან ფილიპინების მაგალითები ამის პრეცედენტულ პრაქტიკას ქმნის) არსებობს სხვა მიდგომებიც — ხელშეკრულებები, რომლებიც უფრო გახშირებულ წვრთნებს, მეტ როტაციულ და გარკვეულწილად, ინფრასტრუქტურულ წარმომადგენლობასაც გულისხმობს.

— „ქართული ოცნების“ მიერ ბოლო რვა წლის განმავლობაში წარმოებული პოლიტიკა ფასდება „რუსეთის არგაღიზიანების“ პოლიტიკად. ამ პირობებში რამ შეიძლება, გვიბიძგოს მეტი აქტიურობისკენ, სითამამისა და ინიციატივებისკენ?

— დიახ, მმართველი პარტიის სამეზობლოსადმი დამოკიდებულება გამოირჩევა მეტი სიფრთხილით და ეს ჩემთვის გასაგებია: თანამედროვე მსოფლიო პრაქტიკულად „თავდაყირა“ დგას და უნებლიე კონფლიქტის შემთხვევაში ჩვენთვის ვის ეცლება? — ეს დიდი კითხვაა. მეორე — დასავლეთი თავად მოგვიწოდებს, რომ უკიდურესად ფრთხილნი ვიყოთ სამეზობლოსთან მიმართებაში. ამავდროულად, ნიშნავს თუ არა ეს, არ ვიყოთ იმაზე მეტად აქტიურები, ვიდრე ახლა ვართ? რა თქმა უნდა, არა. მით უფრო, როცა ვსაუბრობთ მოვლენების იმგვარად სწრაფი ტემპით განვითარებაზე, რაც გადაწყვეტილებების მიღებაში თანაბარ სისწრაფეს მოითხოვს. იგივე თურქულ-რუსული ალიანსი, რომელიც სადღეისოდ სამხრეთ კავკასიის რეგიონში გამოიკვეთა. არის ვერსია, რომ მათ საერთო ენა სწორედ ანტიდასავლურმა სენტიმენტებმა მოაძებნინა. ვინაიდან ჩვენ პროდასავლური კურსი გვაქვს დეკლარირებული, ვითვალისწინებთ, რომ ჩვენი დასავლელი პარტნიორები დაინტერესებულნი არიან ჩვენთან ამ კურსის პრაქტიკული და ხელშესახები განვითარებით. ვფიქრობ, მიუხედავად დეკლარაციებისა და განცხადებისა, დღეს დასავლეთის გეოსტრატეგიული ინტერესი ევრაზიის საკვანძო გეოგრაფიაში მეტ პროაქტიურობას საჭიროებს. „ბურთი“ ჩვენს მოედანზეა და აქ იგულისხმება არა მხოლოდ ქართული, არამედ საერთო ქართულ-დასავლური „მოედანი“. დადგა დრო მეტი გამბედაობის, რომელიც ამავე დროს მაქსიმალურ კომპეტენციაზე, გამოცდილების შესწავლაზე იქნება დაფუძნებული და ეს გამოცდილებები მსოფლიოში არსებობს. ასეთ გამოცდილებასა და ცოდნას შორისაა უსაფრთხოების სხვადასხვა მოდელები, მათი ვარიაციები და მოდიფიკაციები. ფაქტია, რომ დღეს ჩვენ ქართულ-დასავლური ტანდემის საჭიროებაზე მორგებული მოდელი გვჭირდება. გულწრფელად გეტყვით, მაქვს ხოლმე განცდა, რომ თანამედროვე მსოფლიოს თავდაყირად მოქცევის გამო 90-იან წლებთანაც კი გავავლო გარკვეული პარალელები... ბუნებრივია, რეგიონალური სტაბილურობა არ უნდა ამოვატრიალოთ, მაგრამ ამა თუ იმ სტაბილურობას კვლავ კონკრეტულ დინამიკასა და შედეგისკენ უნდა მივყავდეთ. ვნახოთ, აშშ-ის მომავალი ადმინისტრაცია რას შემოგვთავაზებს ჩვენს რეგიონზე. არის სხვადასხვა ვერსია. საინტერესოა, თუ როგორ ყალიბდება მრჩეველთა და საგარეო პოლიტიკური გუნდი. არის დამაიმედებელი პროგნოზი, მოლოდინები დასავლეთის მეტად პროაქტიურობაზე. ტრამპთან მიმართებაში, შესაძლოა, ბევრი საწუწუნო არ გვქონდეს, მაგრამ ჩვენ სტრატეგიული მიდგომა გვჭირდება, მეტი დაგეგმარება. ასე მაგალითად, კითხვაზე, დღეს რა არის აშშ-ის და დასავლეთის სტრატეგია შავ ზღვაზე, მე კონკრეტული და ერთმნიშვნელოვანი პასუხი მიჭირს. სტრატეგიული გეგმის შემუშავება კი საერთო ინტერესებშია.

— დავაზუსტოთ, დასავლეთის ინტერესების შეზღუდვა ახსენეთ — სამოქმედო არეალი იგულისხმეთ, თუ თავად ინტერესები?

ერთია, პრიორიტეტები განცხადებების დონეზე, მეორეა — კონკრეტული შინაარსის მქონე მოქმედებები. შესაძლოა, ძალიან საკამათო რამეს ვამბობ, რა თქმა უნდა, ბევრიც კეთდება, მაგრამ მაქვს განცდა, რომ გარკვეულ დროში ვაგვიანებთ და ან თუნდაც მცირედთ ვაკლებთ პროცესს. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ რეგიონი დღეს გეოპოლიტიკურ მოძრაობაშია მოსული, უჩვეულო ალიანსები იკვრება თუ იგეგმება, ვისმენთ ინიციატივებს, რომელთა მოსმენაც კი რამდენიმე წლის წინ წარმოუდგენელი იქნებოდა. ამრიგად, ვიმეორებ, ცოდნაზე დაფუძნებული მეტი იმპროვიზაცია გვმართებს, რადგან ხვალ სამოქმედო არეალი როგორც ჩვენთვის, ისე ჩვენი სტრატეგიული მოკავშირისთვის შესაძლოა, გაცილებით მცირე იყოს, ვიდრე ამის საშუალებას სადღეისოდ არსებული მოცემულობა გვაძლევს.

— რეგიონალურ უსაფრთხოებაზე საუბრისას თქვენ 90-იანი წლები ახსენეთ... რას გულისხმობდით?

— ბუნებრივია, ამ შემთხვევაში ქართულ ინსტიტუტებს არ ვგულისხმობ, არამედ ის რომ თავად რეგიონი გახდა არაპროგნოზირებადი. რუსეთი და თურქეთი გლობალური გადმოსახედიდან საშუალო რანგის მოთამაშეები არიან, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ისინი რეგიონში ანგარიშგასაწევ მოთამაშეებად არ გვევლინებიან. სწორედ რეგიონალური მოთამაშეების გააქტიურებამ გახადა ვითარება სახიფათო და კიდევ უფრო მოწყვლადი (90-იან წლებში რუსეთი ნაკლებად ამბიციური იყო, თურქეთს სხვა პოლიტიკა ჰქონდა — ნულოვანი პრობლემები სამეზობლოსთან). ასევე, ყარაბაღის მეორე ომის შემდეგ, ბაქოს მხრიდან, ასე ვთქვათ, მომძლავრებულ რეგიონალურ ამბიციას ვხედავთ. ჯამში, ეს ყველაფერი წარმოშობს შეკითხვებს, ჩვენი პოლიტიკური, მათ შორის,საგარეო-პოლიტიკური, თუ სამხედრო ინსტრუმენტების მდგომარეობა ასეთი გამოწვევებისა და რისკების ადეკვატურია? ვფიქრობ, ამ მიმართულებით დიდი სამუშაოა ჩასატარებელი და რაც მალე, მით უკეთესი, რადგან აქ გარღვევა გვაქვს და არა ჩვენს სასარგებლოდ.

რას გულისხმობს „NATO-საქართველოს არსებითი პაკეტის“ ახალი ინიციატივა, რომელიც კოდიფიკაციისა და სტანდარტიზაციის სისტემის გაუმჯობესებას ითვალისწინებს

თავდაცვის ახალი პროექტები

2 დეკემბერს „NATO-საქართველოს არსებითი პაკეტის“ (SUBSTANTIAL NATO-GEORGIA PACKAGE, SNGP) განახლების შესახებ გახდა ცნობილი.

როგორც „აქცენტს“ NATO-ში განუმარტეს, განახლებული ვერსიით, „NATO-საქართველოს არსებით პაკეტს“ 3 ახალი ინიციატივა დაემატა, ხოლო უკვე არსებული კომპონენტები მნიშვნელოვნად გაძლიერდა.

ამჟამად SNGP შედგება 16 ინიციატივისგან, რომელთაგან 3 ახალია.

ᲠᲐᲛᲐᲖ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘᲫᲔ:

ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ ᲡᲔᲥᲢᲐᲓ ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲥᲛᲜᲐ!



ᲛᲗᲔᲚ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲘᲣᲠ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲡ ᲨᲔᲣᲢᲘᲔᲡ, ᲛᲒᲝᲜᲘ, ᲓᲔᲒᲜᲐᲜᲡ ᲒᲐᲣᲩᲜᲓᲐ ᲔᲭᲕᲘ, ᲠᲝᲛ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲘᲗ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲡ!..

„ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲣᲚᲘ ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ �გᲐᲩᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲮᲛᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲧᲝᲤᲘᲡ ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲐ; „ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐᲨᲘ“ ᲛᲧᲝᲤᲘ ᲝᲓᲘᲝᲗᲖᲣᲠᲘ ᲤᲘ�გᲣᲠᲔᲑᲘ; ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲗᲐᲜ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲐᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲢᲐᲥᲢᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲐ“, — ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲘᲛ ᲛᲘᲖᲔᲖᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲜᲐᲗᲕᲐᲚᲘ, ᲠᲐᲢᲝᲛᲐᲪ ᲒᲠᲘ�გᲝᲚ ᲕᲐᲨᲐᲫᲔᲛ „ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ“ ᲓᲐᲒᲝᲕᲐ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲓᲐᲠᲩᲐ. ᲕᲐᲨᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲡ ᲐᲛ ᲓᲠᲝᲛᲓᲔ ᲣᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲝᲓ ᲢᲝᲕᲔᲑᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲚᲘᲓᲔᲠᲘ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ ᲙᲘ, ᲕᲐᲨᲐᲫᲔᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲠᲛᲐᲡ ᲓᲐ ᲓᲠᲝᲡ ᲣᲬᲣᲜᲔᲑᲔᲜ.

ᲕᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲨᲘ ᲨᲔᲓᲘᲡ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲘᲣᲠ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲨᲔ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲮᲛᲐ — ᲐᲛ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲦᲔᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲝᲚᲝ�გᲘ ᲠᲐᲛᲐᲖ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘᲫᲔ ᲒᲕᲔᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲐ.

— ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲠᲐᲛᲐᲖ, ᲠᲝ�გᲝᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲐᲘᲮᲡᲜᲐᲡ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲘᲣᲠᲘ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲢᲔᲕᲐ? ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲮᲛᲘᲡ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲔᲑᲘᲐ ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲔᲚᲩᲘ, ᲔᲡ ᲘᲡ ᲔᲚᲩᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲖᲔᲪ Ი�გᲘᲕᲔ ᲜᲘᲙᲐ �გᲕᲐᲠᲐᲛᲘᲐ ᲡᲘᲣᲟᲔᲢᲔᲑᲡ ᲥᲛᲜᲘᲓᲐ, ᲠᲝᲛ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ“ ᲛᲘᲖᲐᲜᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲐᲓ ᲑᲚᲝᲙᲐᲕᲡ ᲓᲔᲒᲜᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲡ. ᲛᲐᲨᲘᲜ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲘᲜ ᲰᲥᲝᲜᲓᲐᲗ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲛ �გᲕᲐᲠᲐᲛᲘᲐᲡ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ ᲓᲔᲒᲜᲐᲜᲘ �გᲐᲮᲓᲐ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲮᲛᲘᲡ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲘ. ᲕᲐᲛᲑᲝᲑ �გᲕᲐᲠᲐᲛᲘᲐᲡ, ᲕᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲝᲑ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲛᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ...

ᲠᲐᲛᲐᲖ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘᲫᲔ: ᲔᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲜᲘᲨᲐᲜᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲫᲜᲔᲚᲘ ᲡᲐ�პᲐᲡᲣᲮᲝᲐ. ᲕᲐᲨᲐᲫᲔᲪ ᲘᲡᲔ ᲬᲐᲕᲘᲓᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲓᲐᲜ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲛᲐᲡᲐᲪ ᲐᲠ ᲐᲥᲕᲡ, ᲠᲐᲢᲝᲛ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ „ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ“ ᲐᲛ Ჯ�გᲣᲤᲛᲐ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲔᲑᲖᲔ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲮᲛᲐ. ᲚᲐᲓᲝ ᲞᲐᲞᲐᲕᲐᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲛᲐᲮᲡᲔᲜᲓᲔᲑᲐ — „ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲬᲘᲡᲥᲕᲘᲚᲖᲔ ᲜᲣ ᲛᲘᲒᲣᲨᲕᲔᲑᲗ ᲬᲧᲐᲚᲡ“. ᲛᲐᲮᲡᲔᲜᲓᲔᲑᲐ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ, ᲠᲝᲛ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲚᲝ�გᲘᲙᲣᲠᲐᲓ �გᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ ᲔᲡ ᲒᲐᲛᲝᲠᲓᲘᲡ — ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲙᲕᲔᲗᲐᲡ ᲮᲛᲝ ᲐᲠ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ „ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ“?

— ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲠᲘᲪᲮᲣᲚᲘ, ᲛᲘᲗ ᲣᲤᲠᲝ ᲘᲛ ᲜᲐᲬᲘᲚᲨᲘ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲡᲐᲛᲘᲖᲜᲔᲔᲑᲘ ᲮᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲐᲨᲨ-ᲘᲡ, ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲐ ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲔᲚᲩᲔᲑᲘ...

— ᲓᲐ ᲐᲡᲔᲕᲔ, ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲙᲕᲔᲗᲐ ᲮᲛᲝ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐᲨᲘ �გᲐᲐᲦᲕᲘᲗᲝᲡ ᲜᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲢᲔᲕᲐ? ᲛᲗᲔᲚ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲘᲣᲠ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲡ ᲨᲔᲣᲢᲘᲔᲡ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲩᲜᲓᲔᲑᲐ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ — ᲣᲤᲠᲝ ᲨᲝᲠᲔᲣᲚᲘ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘ ᲮᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲐᲨᲨ-ᲘᲡ, ᲔᲚᲩᲘᲡ, ᲔᲡ ᲘᲡ ᲔᲚᲩᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲖᲔᲪ Ი�გᲘᲕᲔ ᲜᲘᲙᲐ �გᲕᲐᲠᲐᲛᲘᲐ ᲡᲘᲣᲟᲔᲢᲔᲑᲡ ᲥᲛᲜᲘᲓᲐ, ᲠᲝᲛ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ“ ᲛᲘᲖᲐᲜᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲐᲓ ᲑᲚᲝᲙᲐᲕᲡ ᲓᲔᲒᲜᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲡ. ᲛᲐᲨᲘᲜ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲘᲜ ᲰᲥᲝᲜᲓᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲘᲗ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲡ!..

ᲧᲐᲜᲐ ᲕᲐᲠᲗ, ᲛᲐᲘᲜᲪᲓᲐᲛᲐᲘᲜᲪ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘᲡ ᲮᲐᲖᲘ ᲐᲠ ᲘᲙᲕᲔᲗᲔᲑᲐ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲐᲠᲪ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ.

ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲠᲐᲜ�გᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲘᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲙᲔᲚᲘ ᲓᲔᲒᲜᲐᲜᲘ. ᲐᲡᲔᲗᲘ ᲠᲐᲜ�გᲘᲡ ᲔᲚᲩᲘ, ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ �გᲣᲚᲣᲑᲠᲧᲕᲘᲚᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲨᲘ. ᲛᲔ ᲛᲒᲝᲜᲘ, ᲔᲚᲩᲘᲡ �გᲐᲣᲩᲜᲓᲐ ᲘᲛᲘᲡ ᲔᲭᲕᲘ, ᲠᲝᲛ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲘᲗ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲓᲔᲡ. ᲔᲡ ᲘᲡ ᲔᲚᲩᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪᲐᲪ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲛ ᲒᲕᲐᲠᲐᲛᲘᲐᲡ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ ᲓᲔᲒᲜᲐᲜᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲮᲛᲘᲡ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲘ. ᲕᲐᲛᲑᲝᲑ ᲒᲕᲐᲠᲐᲛᲘᲐᲡ, ᲕᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲝᲑ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲛᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ...

— ᲗᲣᲙᲘ ᲔᲚᲩᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲘᲥᲛᲜᲔᲑᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ — ᲓᲔᲡᲢᲐᲑᲘᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ, ᲗᲣ ᲔᲭᲕᲘ ᲐᲥᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲓᲔᲡᲢᲐᲑᲘᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐᲡ ᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲔᲜ ᲕᲘᲦᲐᲪᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲗ, ᲡᲐᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝᲐ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲘᲑᲐᲠᲐ ᲔᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲣᲓᲝ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲐᲪᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲪᲘᲐᲜ ᲛᲐᲗᲘ ᲔᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲡ ᲗᲐᲜ, ᲐᲜ ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ ᲐᲠ ᲣᲜᲐᲮᲐᲕᲡ. ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲕᲐᲨᲐᲫᲔᲡ, ᲛᲐᲜ ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲗᲓ ᲣᲐᲠᲘ ᲗᲥᲕᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐᲖᲔ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲗ ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲗᲓ ᲒᲐᲘᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲐ ᲗᲐᲕᲘ.

— ᲕᲐᲨᲐᲫᲔᲛ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲬᲘᲠᲘᲚᲨᲘ ᲞᲠᲝᲠᲝᲡᲣᲚᲘ ᲫᲐᲚᲐᲓ �გᲐᲛᲝᲘᲧᲕᲐᲜᲐ „ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ“. ᲕᲐᲨᲐᲫᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ ᲘᲖᲘᲐᲠᲔᲑᲡ ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲡᲐᲛᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲛᲘᲣᲦᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲮᲛᲘᲡ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲔᲑᲖᲔ. ᲠᲝᲛᲒᲝᲠ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲗ, ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲘᲗᲥᲕᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲗᲣ ᲡᲐᲛᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘᲪᲐ ᲒᲐᲧᲕᲔᲑᲐ ᲕᲐᲨᲐᲫᲘᲡ ᲒᲖᲐᲡ, ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲓᲐᲨᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ ᲐᲠ ᲔᲚᲔᲕᲐ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ?

— ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲡᲐᲥᲛᲔ. ᲗᲣ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲣᲚ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲐᲨᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ �გᲐᲕᲚᲔᲜᲐ, ᲐᲜᲣ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲔᲑᲖᲔ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲮᲛᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐᲖᲔ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲔᲑᲘᲕᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲠᲐᲜ�გᲘᲡ ᲛᲥᲝᲜᲔ ᲔᲚᲩᲔᲑᲘᲗ, ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲓᲐ ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲜᲔᲜ. ᲗᲣᲛᲪᲐ ᲛᲔᲔᲭᲕᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲡᲔ ᲘᲧᲝᲡ. ᲘᲛᲘᲢᲝᲛ, ᲠᲝᲛ ᲔᲠᲗᲐᲠᲗᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ, ᲕᲘᲜᲪ ᲨᲔᲣᲢᲘᲐ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲡ, ᲡᲬᲝᲠᲘᲜᲓ ᲠᲛᲗ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ.

ᲛᲔ ᲛᲒᲝᲜᲘ, ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲣᲤᲠᲝ ᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲐᲐ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ. ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲖᲔᲓᲐ ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘ ᲐᲖᲠᲖᲔ ᲐᲠ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ. ᲗᲣᲛᲪᲐ ᲛᲔᲔᲭᲕᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲡᲔ ᲘᲧᲝᲡ. ᲘᲛᲘᲢᲝᲛ, ᲠᲝᲛ ᲔᲠᲗᲐᲠᲗᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ, ᲕᲘᲜᲪ ᲨᲔᲣᲢᲘᲐ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲡ, ᲡᲬᲝᲠᲘᲜᲓ ᲠᲛᲗ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ.

ᲛᲔ ᲛᲒᲝᲜᲘ, ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲣᲤᲠᲝ ᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲐᲐ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲠᲝᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲨᲚᲐ-ᲐᲠᲓᲐᲨᲚᲐ. ᲐᲛ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲐᲪ ᲐᲮᲚᲐ ᲮᲓᲔᲑᲐ, ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲐ ᲜᲣᲚᲐᲛᲓᲔᲐ ᲓᲐᲡᲣᲚᲘ. ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲙᲘ ᲰᲒᲝᲜᲘᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲝ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲢᲐᲠᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲐᲛ ᲡᲐᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲝ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲚᲔᲑᲐᲡ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲛᲘᲘᲧᲕᲐᲜᲔᲜ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲕᲘᲡ ᲡᲬᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲡᲐᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲝ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲚᲔᲑᲐ, ᲔᲡ ᲒᲐᲣᲒᲔᲑᲐᲠᲘᲐ. ᲤᲐᲥᲢᲘᲐ ᲓᲐ ᲕᲐᲨᲐᲫᲘᲡ ᲬᲐᲡᲕᲚᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲘᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲚᲘᲡ ᲜᲓᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲪ ᲣᲓᲒᲐᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡ. ᲗᲣ ᲐᲛᲐᲡ ᲕᲔᲠ ᲛᲘᲮᲕᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲒᲐᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲔᲜ ᲘᲒᲘᲕᲔ ᲠᲘᲮᲘᲗ ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲣᲚᲝᲑᲐᲡ, ᲑᲝᲚᲝᲡ ᲓᲐ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲔᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲓᲐᲕᲐ ᲡᲔᲥᲢᲐᲜᲢᲣᲠ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐᲖᲔ. ᲡᲔᲥᲢᲐ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲠᲘᲕᲐᲓᲐᲪ ᲮᲝᲛ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲪᲘᲠᲔᲐ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲡᲮᲕᲐ ᲘᲜᲡᲢᲘᲜᲥᲢᲣᲢᲔᲑᲘ. ᲩᲐᲛᲝᲓᲜᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲨᲘᲐ ᲔᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ. ᲕᲐᲨᲐᲫᲘᲡ ᲔᲡ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ, ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲓᲐᲐᲩᲥᲐᲠᲔᲑᲡ ᲐᲛ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲒᲐᲓᲐᲛᲬᲧᲕᲔᲢᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲕᲐᲨᲐᲫᲔᲪ ᲐᲦᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ.

— ᲕᲐᲨᲐᲫᲘᲡ ᲬᲐᲡᲕᲚᲐ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲠᲔᲐᲚᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲐᲧᲔᲜᲔᲑᲡ ᲗᲘᲗᲝᲥᲝᲡᲓᲐ ᲔᲠᲗᲘᲐᲜ ᲘᲓᲔᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ?

— ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲛ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲗᲐᲕᲘ ᲩᲐᲐᲧᲔᲜᲐ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲨᲘ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲐᲓ ᲩᲘᲮᲨᲘ ᲨᲔᲘᲧᲕᲐᲜᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲗᲐᲕᲘ. ᲛᲐᲡ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲨᲐᲜᲡᲘ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲝᲑᲐᲡ ᲤᲚᲝᲑᲓᲐ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲮᲘᲗ, ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲨᲐᲜᲡᲘ, ᲒᲐᲠᲓᲐᲛᲢᲔᲮᲘ ᲠᲝᲚᲘ ᲨᲔᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲜᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲔᲑᲨᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲔᲪᲕᲐᲚᲐ ᲐᲛ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲮᲐᲖᲘ. ᲛᲐᲜ ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲐ, ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲘᲢᲐ ᲥᲣᲩᲘᲓᲐᲜ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲗ ᲜᲣᲚᲐᲛᲓᲔ ᲓᲐᲘᲧᲕᲐᲜᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ

◎ წყალბურთი

ვსწავლობთ და ვსწავლობთ

უნგრეთის დედაქალქ ბუდაპეშტში გუშინ დამთავრდა ჩემპიონთა ლიგის B ჯგუფის გუნდების (ბუდაპეშტის (უნგრეთი) „ტელეკომი“, ბარსელონის (ესპანეთი) „ზოდიაკ ბარსელონეტა“, ჰანოვერის (გერმანია) „ვასპო-98“, ჰერცეგ ნოვის (მონტენეგრო) „იადრანი“, თბილისის (საქართველო) „დინამო“ და იტალიის („ბრეშა“) პირველი წრის შეხვედრები. საქართველოს ჩემპიონმა თბილისის „დინამომ“ სამი შეხვედრა გამართა. ამ შეჯიბრებისთვის გუნდი ბოლო პერიოდში ინტენსიურად ემზადებოდა, მაგრამ დინამოელებმა პანდემიის გამო მარტიდან ექვსი თვე იუქმეს და ეს მათს როგორც ფიზიკურ, ისე ტაქტიკურ მომზადებასაც დაეტყო.

ქართველი წყალბურთელები ტურნირის პირველ დღეს ევროთასების 4-გზის გამარჯვებულს, იტალიის ჩემპიონსა და თასის მფლობელ „ბრეშას“ დაუპირისპირდნენ, რომელსაც, პანდემიის მიუხედავად, ვარჯიში მთელი წლის განმავლობაში არ შეუწყვეტია, რეგულარულად მონაწილეობს ეროვნულ ჩემპიონატში და ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოსაპოვებლად საკვალიფიკაციო ეტაპზე ნოემბერში რამდენიმე ევროპულ კლუბსაც აჯობა.

დინამო — ბრეშა 9:15
(4:2, 1:4, 1:6, 3:3)

აპენინელთა იერიში მატჩის პირველსავე წუთზე ანგელოს ვლაჩოპულოსმა გოლით დააგვირგვინა. მანვე ცოტა ხანში ორამდე გაზარდა ანგარიში (საერთოდაც, ანგელოსმა ამ შეხვედრაში ხუთი გოლი მიითვალა). პირველი პერიოდის დარჩენილ ოთხ წუთში დინამოელებმა ზედიზედ ოთხი უპასუხო ბურთი შეაგდეს რიოს ოლიმპიური თამაშებისა და ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორ მარკო დელ ლუნგოს კარში. ქართველი წყალბურთელები 4:2 დაწინაურდნენ. მეორე რვაწუთიან მონაკვეთში იტალიელებმა შეძლეს მატჩში გარდატეხის შეტანა: ჯერ წონასწორობა აღადგინეს — 5:5, დიდი შესვენების შემდეგ კი ანგარიშში სხვაობა თვალშისაცემი გახადეს და

საბოლოოდ 15:9 გაიმარჯვეს. ეს მატჩი ჩვენთვის საინტერესო და სასიამოვნო იმით იყო, რომ ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშემ — 16 წლის დინამოელმა ბესარიონ ახვლედიანმა ჩემპიონთა ლიგის სადებიუტო მატჩში გოლი გაიტანა. გუნდს კიდევ ერთი დებიუტანტი ჰყავდა — მთავარი მწვრთნელი ზურაბ რურუა, რომელიც აქამდე „დინამოს“ და ეროვნული ნაკრების კაპიტანი გახლდათ.

მეორე ტურში „დინამო“ 2013-2014 წლების ჩემპიონთა ლიგის ტრიუმფატორს, 2014 წლის ევროპის სუპერთასის მფლობელს, ქვეყნის ჩემპიონსა და ესპანეთის ლიგის, თასისა და სუპერთასის მრავალგზის გამარჯვებულს — კატალონიის „ზოდიაკ-ბარსელონეტას“ შეხვდა. ცხადია, ამ ორთაბრძოლაში უპირატესობა პირენეელთა მხარეს იყო, რადგან მეტოქე გუნდის ძირითად შემადგენლობაში ქვეყნის ნაკრების 10 წევრი თამაშობს, ესპანეთი კი, მოგეხსენებათ, ბოლო მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების ვიცე-ჩემპიონია. კლუბი გაძლიერებულია უძლიერესი უცხოელი წყალბურთელებით. ამდენად, „ზოდიაკ-ბარსელონეტა“ ჩემპიონთა ლიგის წლევანდელი გათამაშების ერთ-ერთი ფავორიტია.

ბარსელონეტა - დინამო 17:5
(5:0, 4:2, 5:3, 3:0)

ესპანელებმა მატჩის ბედი პირველსავე რვაწუთიან მონაკვეთში გადაწყვიტეს, როცა რაზმაძის კარში ხუთი უპასუხო ბურთი შეაგდეს. მერეც უპირატესობა „ბარსელონეტას“ მხარეს იყო, რომელმაც შეხვედრა 12-ბურთიანი სხვაობით მოიგო და გათამაშების ცხრილში მეორე იოლი გამარჯვება ჩაიწერა - 17:5.

გუშინ დასკვნით ტურში საქართველოს ჩემპიონები მეტოქეობდნენ ჰერცეგ ნოვის (მონტენეგრო) „იადრანს“, რომელიც ჩემპიონთა ლიგისა და ევროპის თასის ვერცხლის პრიზიორია, ორჯერ რეგიონულ ჩემპიონატებში გაიმარჯვა, 15-ჯერ მიაღწია წარმატებას ეროვნულ პირველობებში (8-ჯერ ჩერნოგორიის, 3-ჯერ იუგოსლავიისა და 4-ჯერ სერბეთ-ჩერნოგორიის), 13-ჯერ კი თასს (10-ჯერ ჩერნოგორიისა და 3-ჯერ იუგოსლავიის) ფლობდა.

ლექსო ცინცაძე

◎ რაგბი

მგონი, გვეშველა...

როგორც იქნა, დადგინდა სხვადასხვა მიზეზის გამო რამდენჯერმე გადადებული საქართველოს რაგბის კავშირის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობის გამართვის თარიღი.

ესაა 30 დეკემბერი, როცა ფორუმის მონაწილენი 13 საათზე „ლოკომოტივის“ ბაზაზე შეიკრიბებიან და კავშირის თავკაცს ხმათა უბრალო უმრავლესობით გამოავლენენ.

შეგახსენებთ, რომ პრეზიდენტობისთვის გოჩა სვანიძე, ბაჩო ხურციძე და ირაკლი აბუსერიძე იბრძვიან.

კობა კობახიძე

◎ ლეგიონერები

„ჯვაროსნებმა“ აკრიფეს...

რაც უფრო ახლოვდება კოვიდპანდემიით საკმაოდ დაღდასმული სეზონის ფინიში, მით უფრო მეტი კონდიციები აკრიფეს ქართველმა ლეგიონერებმა, რაც ღირსეულ ასახვას პოულობს ევროტურნირების შეხვედრებში.

ასე მაგალითად, ევროლიგის ჯგუფური რაუნდის მე-14 ტურში ზედიზედ მე-9, სულ კი მე-11, ამჯერად საშინაო გამარჯვება მოიპოვა ყველაზე პრესტიჟული კონტინენტური საკლუბო ტურნირის მოქმედმა გვირგვინოსანმა ცსკა-მ, რომელსაც თორნიკე შენგელია 8 ქულითა და 2-2 მოხსნა-პასით შეეწია. მოსკოველთა მეტოქე თურქული „ეფესი“ იყო.

ამ მოგებით არმიელები გათამაშების სატურნირო ცხრილის სათავეში მოექცნენ და დღეს მორიგ შეხვედრაში სანკტ-პეტერბურგის „ზენიტს“ უმასპინძლებენ.

წარმატებით ითამაშა ჩემპიონთა ლიგის მონაწილე „ტენერიფემაც“, რომელმაც სტამბოლში კიდევ ერთი იქაური გრანდი „გალათასარაი“ დაჯაბნა — 104:89. სტუმრებს 16 ქულა და 6 მოხსნა გიორგი შერმადინმა შესძინა.

6 იანვარს კუნძულელები ჯგუფის იტალიურ ლიდერ „სასარის“ მიიღებენ.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფეხბურთი

ევროპის სტადიონებზე

ჩემპიონთა ლიგა. ქალები. 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩი. მალმიო. „როზენგარდი“ (შვედეთი) — „ლანჩხუთი“ — 10:0 (პირველი შეხვედრა — 7:0).

ინგლისი. „ლივერპული“ — „ტოტენჰემი“ 2:1.

გერმანია. „ბაიერნი“ — „ვოლფსბურგი“ 2:1.

იტალია. „იუვენტუსი“ — „ატალანტა“ 1:1, „ინტერი“ — „ნაპოლი“ 1:0.

ესპანეთი. „რეალი“ — „ბილბაო“ 3:1, „ბარსელონა“ — „სოსიედადი“ 2:1.

გიორგი შოთაძე

◎ ოლიმპიზმი

100 დღით ადრე

ოლიმპიური ჩირაღდნის მოგზაურობის დაწყებამდე 100 დღით ადრე ტოკიოს ცათამბჯენი Tokyo Skytree საკურას და ოქროსფრად გაანათეს.

ტოკიო-2020-ის წარმომადგენელთა თქმით, კორონავირუსის პანდემიის

გათვალისწინებით, ღონისძიება უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომების დაცვით წარიმართება: მეჩირაღდნეთა სოციალური დისტანცირება და ესტაფეტის სრული ონლაინ-ტრანსლაცია ადამიანებს შორის არასასურველ კონტაქტებს შეამცირებს.

მოსალოდნელია, რომ ტოკიოს თამაშების ერთ-ერთ მთავარ სიმბოლოს დაახლოებით 10 ათასი მეჩირაღდნე ეყოლება. საორგანიზაციო კომიტეტი ამჟამად კანდიდატთა შერჩევის დასკვნით ეტაპზეა.

თამაშების მასპინძლებმა ადრე განაცხადეს, რომ იაპონიის ტერიტორიაზე ოლიმპიური ცეცხლის მოგზაურობის პროგრამაში ცვლილებების შეტანას არ აპირებდნენ, რადგან არანაირი ფინანსური სარგებლის მომტანი არ იქნებოდა, საორგანიზაციო საკითხები კი მხოლოდ გაიზრდებოდა. ერთგვარი შესწორებები მხოლოდ ესტაფეტის თანმხლებ გასართობ ღონისძიებებს თუ შეეხება.

ასევე ირკვევა, რომ გადაიხედება მონაწილეთა წარმომადგენლობა. კერძოდ, მეჩირაღდნეებად დარჩებიან სპორტული საზოგადოების წარმომადგენლები, ხოლო სხვადასხვა სფეროს ცნობილი სახეების სიაში დატოვების მიზანშეწონილობის საკითხი ღიად რჩება.

ტოკიო-2020-ის ცეცხლის ესტაფეტა იაპონიაში 2021 წლის 25 მარტს, ფუკუშიმას საფეხბურთო ცენტრში დაიწყება. ოლიმპიური ცეცხლი 121 დღის განმავლობაში ქვეყნის ყველა — 47 პრეფექტურას ეწვევა, 23 ივლისს კი ტოკიოს ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიაზე ოლიმპიურ სტადიონზე საზეიმოდ აინთება.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ფორმულა — 1

უილიამსი ჰოსპიტალშია

ფორმულა 1-ის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული გუნდის — „უილიამსის“ დამაარსებელი და ყოფილი შეფი ფრენკ უილიამსი ჰოსპიტალში იმყოფება. ოჯახი არ აკონკრეტებს ჰოსპიტალიზაციის მიზეზს, თუმცა, აცხადებს, რომ მისი მდგომარეობა სტაბილურია.

ფრენკ უილიამსი ამჟამად 78 წლისაა. 1986 წელს მომხდარი ავტოკატასტროფის შემდეგ ის ინვალიდის ეტლით გადაადგილდება, თუმცა, ამის მიუხედავად, წლების განმავლობაში წარმატებით უძღვებოდა გუნდს, რომელსაც კონსტრუქტორთა ჩემპიონატი ცხრაჯერ, მრბოლთა ტიტული კი შვიდჯერ აქვს მოგებული.

ბოლო წლებში ფრენკი გუნდის ხელმძღვანლობას ჩამოშორებული იყო და მის მოვალეობას შვილი, კლერ უილიამსი ასრულებდა. ახლახანს „უილიამსი“ ამერიკულმა საინვესტიციო კომპანია „დორილტონ კეპიტალმა“ შეისყიდა და ხელმძღვანელობაც გადაიბარა. უილიამსების ოჯახი მის საქმიანობაში აღარ ერევა.



„უილიამსმა“ მსოფლიო ჩემპიონის წოდება ბოლოს 1997 წელს მოიპოვა, როდესაც ტიტულს კანადელი ჟაკ ვილნევი დაეუფლა,მაგრამ უკვე რამდენიმე წელია, იმის მიუხედავად, რომ „მერსედესის“ ძრავებს იყენებს, მყარად უკავია პელოტონის უკანა რიგები.

გეჟან დოლიძე

133 000 ადამიანი საქართველოში დღიურად 2 ლარზე ნაკლებს მოიხმარს!

საქართველოში სიღარიბე დამოუკიდებლობის მოპოვებიდან 29 წლის შემდეგაც კი ნაციონალურ პრობლემად რჩება. ადრეული 90-იანების დიდი კოლაფსის შემდეგ, მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, მაგრამ დღესაც ბევრი ოჯახის შემოსავლის ერთადერთ წყაროდ პენსია ან სოციალური დახმარება რჩება.

საქსტატის ცნობით, სქართველოში 2019 წელს ყოველი მეხუთე ადამიანი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფებოდა. 10 წლის წინ ასეთი ყოველი მესამე იყო. ამ ადამიანებს საარსებო მინიმუმზეც, თვეში 187 ლარზეც კი არ მიუწვდებათ ხელი.

საერთაშორისო განმარტების თანახმად, სიღარიბესთან ერთად არსებობს უკიდურესი სიღარიბეც და მათ ის ადამიანები მიეკუთვნებიან, რომლებიც დღიურად PPP დათვლით $1.90-ზე ნაკლებს მოიხმარენ, რაც ფასთა სხვადასხვაობის გათვალისწინებით, ნომინალურად, დაახლოებით 60 ცენტია, ანუ 2 ლარი, თვეში 60 ლარი, ჩვეულებრივ სიღარობის ზღვართან შედარებით 3-ჯერ ნაკლებია. ასეთ უკიდურეს სიღარიბეში, აზიის განვითარების ბანკის ანგარიშის მიხედვით, 2019 წელს საქართველოს მოსახლეობის 3.6% ანუ 133 000 ადამიანი ცხოვრობდა.

3.7 მლნ-იან ქვეყანაში ოქტომბრის მდგომარეობით, სოციალურ დახმარებას, რომელიც სულზე 60 ლარამდე თანხას შეადგენს და ასევე გათვალისწინებულია სხვა მცირე შეღავათები კომუნალურ გადასახადებსა და საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობაზე, 510 ათასი ადამიანი იღებს, თებერვლიდან დღემდე კი ეს რიცხვი 70 ათასით გაიზარდა. იანვრიდან ნოემბრამდე დახმარების მომთხოვნთა რაოდენობა სოციალური მომსახურების სააგენტოს ბაზაში 921 ათასიდან 994 ათასამდე გაიზარდა.ყოველი 100 ადამიანიდან 27 სახელმწიფოს დახმარებას სთხოვს და მათგან ყოველი 14 ამ დახმარებას იღებს.

2018 წელს Unicef-მა გამოაქვეყნა წინა წლის ანგარიში, რომლის თანახმადაც საქართველოში ბავშვთა სიღარიბე გაზრდილი იყო. 77 000 ბავშვი შიმშილობდა და ყოველწლიურად შიმშილით ან არასრულფასოვანი კვებით 300 ბავშვი იღუპებოდა. ფორმალურად ეს კვლევა იმდროინდელი პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის გადაყენების მიზეზი გახდა, თუმცა ეს მიზეზი მაშინ არავის დაუჯერებია, რაც მოგვიანებით თავად კვირიკაშვილმაც დაადასტურა.

საკმაოდ მძიმე სურათის მიუხედავად ფაქტია ისიც, რომ 2004-2019 წლებში სიღარიბის მაჩვენებელი 1.76-ჯერ, ხოლო უკიდურესი სიღარიბის მაჩვენებელი 2.75-ჯერ შემცირდა. 2020 ამ დადებით ტენდენციას გააუარესებს.

შეიძლება უცნაურად ჩანდეს, რომ 2004-2007 წლებში მაღალი ეკონომიკური ზრდის პირობებში, სიღარიბე გაიზარდა. მაღალ ეკონომიკურ ზრდას თან მაღალი ინფლაცია და ბიუროკრატიის შემცირება ახლდა. მაღალი ეკონომიკური ზრდა დროის გრძელვადიან პერიოდში ყველასთვის სიკეთის მომტანია, თუმცა მოკლევადიან პერიოდში, შორი გათვლებით სწორი, მაგრამ არაპოპულარული რეფორმები მოწყვლადი ფენებისთვის მტკივნეული გადასატანია. 2007 წლის ნოემბრის პოლიტიკური კრიზისის ერთ-ერთი გამომწვევი ფაქტორი ის იყო, რომ ბევრმა ადამიანმა „მასმედიაში ნანახი“ ეკონომიკური წინსვლა საკუთარ თავზე ვერ გამოსცადა.

მსოფლიო ბანკის კვლევით პანდემია და კოვიდრეგულაციები იმ ადამიანების რაოდენობას, რომლებიც დღიურად PPP დათვლით $1.90-ზე ნაკლებს მოიხმარენ, 150 მლნ-ით გაიზრდება. მართალია, ეს მძიმე სცენარი რაოდენობრივადაც და პროცენტულადაც ძირითადად აფრიკისა და აზიის ქვეყნების ნაწილს ეხება, მაგრამ მათ შორის იქნებიან ასევე საქართველოს მოქალაქეებიც.

გიორგი ელიზბარაშვილი

დააკავეს ყაჩაღობისა და მკვლელობის ბრალდებით

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1980 წელს დაბადებული ე.მ. ყაჩაღობისა და განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.



„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მამაკაცმა, მიმდინარე წლის 15 დეკემბერს ქობულეთის მუნიციპალიტეტში თანასოფლელს — თ.პ.-ს იარაღის მუქარით ავტომობილი გასტაცა და ქობულეთის მიმართულებით გაემართა. ე.მ.-მ ქობულეთში, მემედ აბაშიძის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე ნაცნობი — 1968 წელს დაბადებული ვ.ვ., წარსულში არსებული უთანხმოების ნიადაგზე, თან ნაქონი სანადირო თოფიდან რამდენიმე გასროლით სასიკვდილოდ დაჭრა და მიიმალა. სამართალდამცველებმა ბრალდებული მომხდარიდან მეორე დღეს დააკავეს. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი — სანადირო თოფი ნივთმტკიცების სახით ამოიღო“, — ნათქვამია შსს-ს ინფორმაციაში.

ყაჩაღობისა და განზრახ მკვლელობის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე და 108-ე მუხლებით მიმდინარეობს. დანაშაული ექვსიდან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სანთელი

უახლოესი თანამშრომლები და მეგობრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი, განსაკუთრებული თვისებების პიროვნება და მოქალაქე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ბუნებრივი რესურსების კომისიის სწავლული მდივანი, პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი

მარატ ციცქიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.:

გიორგი კვესიტაძე, რამაზ ხუროძე, ავთანდილ არაბული, თამაზ შილაკაძე, გივი აბდუშელიშვილი, სანდრო დიდებულიძე, ფელიქს კალანდარიშვილი, ეკა ულენტი, ალეკო მირიანაშვილი.

გივი ყენიას ოჯახს

ჩვენო ძვირფასებო, გვიან გავიგეთ ჩვენი ჯგუფელი მეგობრის გარდაცვალება.

ძალიან გვეწყინა, შევწუხდით, გული გვეტკინა... ჩვენი მეგობრობა 60 წელს ითვლის. მიიღეთ ჩვენგან სამძიმარი.

გისურვებთ გადაგეტანოთ ეს დანაკარგი და ქვეყანაში შექმნილი ვითარებაც.

ინსტიტუტის მეგობრები

რეზო არველაძე, გივი აბდუშელიშვილი, გუჩა დათუნაიშვილი, თამაზ ლეკიშვილი, ჯემალ აკობია, გოგი ლეჟავა, ალეკო ხუნდაძე.

ქართული კულტურის დანაკლისი

რუსლან მიქაბერიძე



81 წლის ასაკში გარდაიცვალა მსახიობი რუსლან მიქაბერიძე.

რუსლან მიქაბერიძე იყო საქართველოს დამსახურებული არტისტი. სხვადასხვა წლებში მუშაობდა მოზარდ მაყურებელთა, მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრებში. იყო შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობი. შესრულებული აქვს მრავალი კინოროლი.

რუსლან მიქაბერიძეს გამოცემული აქვს რამდენიმე პოეტური კრებული.

რევაზ თავაძე

83 წლის ასაკში გარდაიცვალა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სპეციალური ფორტეპიანოს კათედრის პროფესორი, საქართველოს დამსახურებული არტისტი რევაზ თავაძე. რევაზ თავაძე თბილისის კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ აქტიურ საკონცერტო მოღვაწეობას ეწეოდა, გამოდიოდა როგორც სოლო პროგრამებით, ისე სხვადასხვა ორკესტრთან ერთად. 1962 წლიდან ის სპეციალური ფორტეპიანოს კათედრის პროფესორი იყო. 1996-2003 წლებში მას ჰქონდა წარმატებული სოლო კონცერტები გერმანიის სხვადასხვა ქალაქში.

რევაზ თავაძემ არაერთი პიანისტი აღზარდა. პედაგოგიურ მოვაწეობასთან ერთად, კონსერვატორიაში კითხულობდა პიანიზმის ისტორიის კურსს, რომელიც დისკის სახით არის გამოცემული. 1981 წელს დაიბეჭდა რევაზ თავაძის მონოგრაფია „სანოტო ტექსტის გარჩევა-წაკითხვის შესახებ“.

სავალალო სტატისტიკა

მსოფლიოში, ოფიციალური მონაცემებით, კორონავირუსით ინფიცირების 74 536 277 დადასტურებული შემთხვევაა გამოვლენილი. აქედან 1 655 282 ინფიცირებული გარდაიცვალა, ხოლო 52 373 134 გამოჯანმრთელდა.

ბოლო 24 საათში, ამერიკის შეერთებულ შტატებში — 248,686, ბრაზილიაში — 68 437, თურქეთში — 29 718, გერმანიაში — 28 969, რუსეთში კი 26 509 ადამიანი დაინფიცირდა. ეს ის ქვეყნებია, რომლებიც კორონავირუსით ინფიცირებული ადამიანების რაოდენობით ლიდერობენ.

ამავე პერიოდში, გარდაცვლილთა რაოდენობა ამერიკის შეერთებულ შტატებში — 3 538-ს, ბრაზილიაში — 968-ს, გერმანიაში — 749-ს, ხოლო იტალიაში 680- ს შეადგენს.

რაც შეეხება საქართველოს მეზობელ ქვეყნებს, **რუსეთში,** ბოლო დღე-ღამეში ვირუსი 26 509 ადამიანს დაუდგინეს, გარდაიცვალა 596.

აზერიბაიჯანში ვირუსის 4 077 ახალი შემთხვევა გამოვლინდა, 43 გარდაიცვალა.

თურქეთში კორონავირუსი 29 718 ადამიანს დაუდასტურდა, 240 გარდაიცვალა.

სომხეთში კი ბოლო 24 საათში ვირუსის 1 098 ახალი შემთხვევა გამოვლინდა, 27 გარდაიცვალა.

ქართველი რეჟისორი სანდენსის კინოფესტივალზე

„მოთვინიერება“ (Taming the Garden) სალომე ჯაშის ახალი დოკუმენტური ფილმია, რომლის მსოფლიო პრემიერა შედგება 31 იანვარს სანდენსის საერთაშორისო კინოფესტივალზე. ფილმის მეორე ჩვენება დაგეგმილია 2 თებერვალს.

ეროვნული კინოცენტრის ინფორმაციით, „მოთვინიერება“ წარმოდგენილია კინოფესტივალის დოკუმენტური ფილმების საკონკურსო პროგრამაში.

სანდენსის საერთაშორისო კინოფესტივალი ამერიკის შეერთებულ შტატებში საავტორო კინოს უდიდესი ფესტივალია, რომელიც ყოველწლიურად 40 000-ზე მეტ სტუმარს მასპინძლობს. მისი ისტორია 1978 წელს იწყება, როდესაც ფესტივალი ცნობილი ამერიკელი მსახიობის რობერტ რედფორდის კომპანიამ დააარსა.

წლების განმავლობაში სანდენსის კინოფესტივალმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვა, როგორც პლატფორმამ, რომელიც მსოფლიოს გამორჩეულ დამოუკიდებელ ფილმებს აცნობს. ასევე, სანდენსს უკავშირდება არაერთი გამორჩეული რეჟისორის, ოპერატორისა თუ კინოვარსკვლავის აღმოჩენა.

კორონავირუსის პანდემიის გამო ერთ-ერთი უდიდესი კინომოვლენა შერეული ფორმატით გაიმართება (როგორც ონლაინ, ასევე რეალური დასწრებით). სანდენსის კინოფესტივალის 2020 წლის გამოშვება უმასპინძლებს 72 სრულმეტრაჟიანი ფილმის ჩვენებას 29 ქვეყნიდან.

რეზო გიგინეიშვილის მორიგი უიღბლო ქორწინება

რუსეთში მოღვაწე ნიჭიერი, ქართველი რეჟისორი რეზო გიგინეიშვილი სულ რაღაც ერთი წლის წინ დაქორწინდა ნადეჟდა ობოლონცევაზე და მაშინ წყვილი ამტკიცებდა, რომ ისინი საკმაოდ ზრდასრულები არიან და ეს ქორწინება მტკიცე და ხანგრძლივი იქნებაო.

რეზო გიგინეიშვილისთვის ეს მესამე ქორწინება გახლდათ და როგორც ჩანს ჯერჯერობით ყველაზე ხანმოკლე.

მან თავდაპირველად ანასტასია კოიჩეტკოვაზე იქორწინა და საერთო შვილი მარიაც ჰყავთ. შემდეგ ნადეჟდა მიხალკოვასთან სცადა ბედნიერების პოვნა (ნიკიტა მიხალკოვის ქალიშვილი), თუმცა შვიდწლიანი თანაცხოვრების შემდეგ მასაც დაშორდა. როგორც ამბობენ, სწორედ ობოლონცევას გამო. თუმცა მათი ბედნიერებაც არ აღმოჩნდა ხანგრძლივი.

რეზო გიგინეიშვილი აცხადებს, რომ მასთან ცხოვრება საკმაოდ რთულია, როგორც ხელოვანს ხშირად მარტო ყოფნა და ფიქრი ურჩევნია, ქალებისთვის კი ეს რთული გასაგებია...

უიტნი ჰიუსტონზე ბიოგრაფიულ ფილმს იღებენ

მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე საოცარი ხმის მფლობელზე უიტნი ჰიუსტონზე ცნობილი რეჟისორი სტელა მეგი ფილმს იღებს.

როგორც ჩანს, რეჟისორი და უიტნის სიმღერების ოფიციალური მემკვიდრე ჰიუსტონ კლაივ დევისი ძალიან დიდხანს ეძებდნენ მთავარი როლის შემსრულებელს.

საბოლოოდ არჩევანი 28 წლის მსახიობ ნაომი აკიზე შეაჩერეს. ის ისეთი თავდაჯერებული იყო სინჯების დროს, რომ აუცილებლად მოირგებს მომღერლის როლს, აცხადებს რეჟისორი.

ფილმის გადაღებები უკვე დაწყებულია და მისი ეკრანებზე გამოსვლა 2022 წელს ამერიკის თავისუფლების დღისთვისაა დაგეგმილი.

მოამზადა
რუსუდან ქოგულიამ

◎ დღესასწაული

სასწაულმოქმედი ნიკოლოზი სვეტიცხოვლის კედელზე... გამოისახა

19 დეკემბერს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ნიკოლოზობას დღესასწაულობს.

წმინდა სასწაულმოქმედი ნიკოლოზი საქართველოს მფარველია. შვიდიოდე წლის წინ წმინდა ნიკოლოზის სახე სვეტიცხოვლის დიდი ტაძრის ერთ-ერთ კედელზე გამოისახა.

წმინდა მირონის მოხარშვისას, სასწაულმოქმედის, მირონ-ლუკიის შემამკობლის, წმინდა მღვდელმთავრის კედელზე გამოსახვა საქართველოსთვის სიკეთის მომასწავებელია.

ის ფაქტი, რომ წმინდა ნიკოლოზი ადამიანებს საიდუმლოდ ეხმარება, ამის დამადასტურებელია უამრავი მაგალითი.

... თურმე ერთ ქალაქელ ვაჭარს სავაჭრო საქმე ცუდად წაუვიდა და სრულიად გაკოტრდა, მას 3 ქალიშვილი ჰყავდა. ამ დროს ვაჭარმა ისარგებლა რა ქალიშვილების სრულწლოვანებით და სილამაზით, მას თავში მოუვიდა სამარცხვინო აზრი, ლუკმა-პურის საშოვნელად ცუდ გზას დადგომოდნენ.

წმინდა ნიკოლოზმა ამის შესახებ შეიტყო და რათა სირცხვილისგან ეხსნა ვაჭარი და მისი ქალიშვილები, ერთხელ ღამით, ვაჭრის სახლთან მივიდა და ფანჯრიდან ოქროთი სავსე ტომარა გადაუგდო. გაკოტრებულმა ვაჭარმა ოქრო რომ დაინახა, თავისი უფროსი ქალიშვილის გათხოვება გადაწყვიტა და საჭირო მზითევიც გაატანა... ასე განმეორდა მეორე ქალიშვილის გათხოვებისას. როცა მესამე ქალიშვილის მზითევისთვის მესამე ტომარა გადაუგდო, მაშინ კი დაუდარაჯდა და ყველაფერი გაიგო. ვაჭარი ტირილით ფეხებში ჩაუვარდა და მადლობას უხდიდა მწინდა ნიკოლოზს საშინელი ცოდვისა და სირცხვილისგან მისი ოჯახის ხსნის გამო. ამის შემდეგ ვაჭარი გახდა ხალხის დამხმარე.

გიული ლიპარტია

ალადგენენ ლახამულის ოთხთავს

იუსტიციის სამინისტროს „საქართველოს ეროვნულ არქივში“ ლახამულის ოთხთავის რესტავრაცია მიმდინარეობს. ამ დრომდე ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების გასაცნობად ეროვნულ არქივს პარლამენტის დეპუტატები და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ეწვივნენ.



უნიკალური ხელნაწერი არქივში რესტავრაციისთვის 2020 წლის მაისში მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ლახამულიდან გადმოიტანეს, 18 თვის შემდეგ კი სრულად რესტავრირებული სიწმინდე კვლავ სოფელს დაუბრუნდება.

სამუშაოს საქართველოს ეროვნული არქივის დოკუმენტების რესტავრაციისა დამიკროფილმირების ლაბორატორიის რესტავრატორები ასრულებენ.

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 21 დეკემბერს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.2811; ევრო - 4.0043;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.4328;
100 რუბლი - 4.4694; თურქული ლირა - 0.4210;
აზერბაიჯანული მანათი - 1.9301;
1000 სომხური დრამი - 6.2438.

ამინდი 18 დეკემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-2,	დღე	+10
მთიანი რაიონები -	ღამე	-5,	დღე	+8
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+3,	დღე	+13
მთიანი რაიონები -	ღამე	-4,	დღე	+7
თბილისი:	ღამე	+4,	დღე	+9

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge